# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 9 ოქტომბერი, 2008 წელი.

№ 190 (6048)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცბიერებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## წინასაარჩევნო სპექტაკლი აშშ-ში





7

**ლუბოვ შევცოვა:**

## რუსეთში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა არამდგრადია და ადრე თუ გვიან დაინგრევა

## „ქმეყანა, რომელიც ჩემს ქვეყანას აღარ ჰგავს“



3

## ოპოზიცია მასმედიის მასობრიობას ითხოვს

6



4

**მამუკა კაციტაძე:**

## საერთაშორისო საზოგადოებრიობა მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლება აუცილებლად უნდა შეიცვალოს, მაგრამ არა დესტაბილიზაციის გზით

## ვინ აპირისპირებს პოლიციას სამხედროებთან?

11



5

## შუბზე აგებული საუკუნეები

● დღესდღეობით როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ისე ევროპის ქვეყნების მნიშვნელოვანი პრობლემაა დემოგრაფიული ვითარება. შემცირებულია შობადობა და გაზრდილია უცხოელთა შემოჭრა.

● მძიმე დემოგრაფიული ვითარებაა რუსეთშიც. გამოკვეთილია მოსახლეობის შემცირების ტენდენცია. მხოლოდ 2005 წელს 750000 რუსი გარდაიცვალა, შემცირებული შობადობის ფონზე მოსახლეობა 143 მილიონამდე შემცირდა

ის, რომ ყველაფერი ყალბი ლაყბობით დამთავრდებოდა, მოსკოვმა კარგად გათვალა



8

## მსოფლიო საქართველოს ამბების შემდეგ

168óraonline

**ინფორმაცია**

## ნელ-ნელა, მაგრამ მაინც გადიან

**შიდა ქართლში რუსული საოკუპაციო ჯარის ბლოკ-პოსტების გაუქმება დაიწყო.**

რეგიონის ტერიტორიაზე არაერთი უკანონო საგუშაგოა, თუმცა ცხინვალში დისლოცირებული ე.წ. სამშვიდობო ძალების სარდლის მარატ კულახმეტოვის განცხადებით, 24 საათის განმავლობაში საგუშაგოების დემონტაჟი მოხდება, შესაბამისად, დღეს საღამოსთვის კი, რეგიონის ტერიტორიაზე არც ერთი საგუშაგო არ უნდა იყოს.



გუშინ დაიწყო კარალეთის შესასვლელში არსებული უკანონო ბლოკ-პოსტის დემონტაჟი. რუსებს მობილიზებული ჰყავთ სატვირთო ავტომანქანები და მიაქვთ ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლება. საგუშაგოზე არსებულ სამშენებლო მასალას, სავარაუდოდ, ცხინვალის მიმართულებით გაიტანენ.

რუსი ოკუპანტების გასვლის შემდეგ, აღნიშნულ სოფლებში ქართული პოლიციის დანაყოფები და ხელისუფლების წარმომადგენლებიც შევლენ. სავარაუდოდ, რუსების გასვლის შემდეგ აღდგება სასწავლო პროცესიც.

## პერევიდან გასვლას არ აპირებენ

**რუსი ოკუპანტები საჩხერის რაიონში, სოფელ პერევში უკანონოდ გახსნილ ბლოკ-საგუშაგოზე კვლავ რჩებიან.. ამის შესახებ საჩხერის გამგებელმა ზურაბ ცერცვაძემ განაცხადა.**

— ამ დროისთვის პერევიდან რუსების გასვლისთვის მზადება არ შეინიშნება. მათ გავესაუბრე და მითხრეს, რომ ბრძანების მიღებისთანავე დაიწყებენ გასვლას. 10 ოქტომბრამდე 2 დღე აქვთ, ასე რომ, ვნახოთ რას იზამენ, — განაცხადა ცერცვაძემ.

## ახალგორს რუსები პლაცდარმად იტოვებენ

**ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე მიიჩნევს, რომ ნაკლებად მოსალოდნელია, რუსულმა სამხედრო ძალებმა სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ის რეგიონები დატოვონ, რომელსაც 6 აგვისტომდე ქართული მხარე აკონტროლებდა.**

როგორც შარაშენიძემ განაცხადა, ახალგორის რაიონზე კონტროლის შენარჩუნება რუსეთისთვის ქართულ მხარეზე ზემოქმედების კიდევ ერთი ბერკეტი იქნება.

## ოსი სეპარატისტები ქართულ სკოლებს აუქმებენ

**ოსი სეპარატისტები ახალგორის რაიონში ქართულ სკოლებს აუქმებენ. გავრცელებული ინფორმაციით, რაიონში გაძლიერებული სწავლება რუსულ და ოსურ ენაზე იწარმოებს, ქართულ ენას კი კვირაში მხოლოდ ორი საათი დაეთმობა.**

ქართული მხარე აცხადებს, რომ მალე რუს ოკუპანტებს ახალგორის დატოვება მოუწევთ და ამ ვანდალური გეგმის განხორციელებას ვერ შეძლებენ.

**პარტიებსა და მოძრაობებში**

## „ჩვენი ქვეყანა“ ინგუშ ხალხს სოლიდარობას უცხადებს



**პოლიტიკური პარტიის „ჩვენი ქვეყანა“ თავმჯდომარემ თამაზ ღუღუნიშვილმა პრესკონფერენციაზე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ განვითარებული მოვლენების შესახებ ილაპარაკა.**

— ევროპიდან მოგვივიდა ინფორმაცია, რომ რუსეთის მთავრობა აპირებს მახინჯი წარმონაქმნის — „მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ რეანიმირებას ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული „კავკასიელ ხალხთა კონგრესის“ საპირისპიროდ, — განაგრძო ღუღუნიშვილმა, — რათა უკვე მერამდენედ დაუპირისპიროს ერთმანეთს კავკასიელი ხალხი.

პრეზიდიუმის სახელით კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ კავკასიელ ძმებს, არ აჰყვნენ რუსეთის პრესსამსახურების პროვოკაციებს და, შეძლებისდაგვარად, ჩვენთან გაერთიანდნენ. ვიცით, რომ ეს ადვილი არ არის, როცა რუსეთის უზარმაზარი სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლი თრგუნავს და ახშობს ყველა ინფორმაციას, რაც ეხება კავკასიას, და არა მარტო კავკასიას.

რუსი ხალხის უმრავლესობაც მოკლებულია ყოველგვარ ობიექტურ ინფორმაციას. სიცრუის მანქანა მთელი დატვირთვით მუშაობს. გამორიცხული არ არის, ჩვენც მოგვიწყონ პროვოკაციები საქართველოში მოკალათებულმა რუსეთის სპეცსამსახურების აგენტებმა.

სატელეფონო საუბრით ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ინგუშეთის პრეზიდენტი ზიაზიკოვი გადადგა. სავარაუდოდ, ინგუშეთს სათავეში აუშევი ჩაუდგება, მაგრამ დროებით. რუსეთს სურს ინგუშეთის გაერთიანება ჩეჩნეთთან და კადიროვის გაპრეზიდენტება. ამის გამო, ჩვენ პროტესტს გამოვხატავთ და სოლიდარობას ვუცხადებთ ინგუშ ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

**მირანდა ფორჩხიძე**

**ცნობები უცხოეთიდან**

## „ყველა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბერკეტს გამოვიყენებთ“

**ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკრაინასა და საქართველოს კიდევ უფრო ძლიერი და გადამწყვეტი მორალური მხარდაჭერა უნდა გამოუცხადოს და ამ ორი ახალგაზრდა დემოკრატიული ქვეყნის ნატოში გაწევრებას ყველანაირად უნდა შეუწყოს ხელი, განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატმა ჯონ მაკეინმა წინასაარჩევნო დებატების მორიგი ეტაპის დროს, რომელსაც მსოფლიოს ყველა წამყვანი ტელეარხი პირდაპირ ეთერში გადასცემდა.**

აშშ-ს პრეზიდენტობის რესპუბლიკელი და დემოკრატი კანდიდატების დებატები ამჯერად ტენესის შტატის ქალაქ ნეშვილის ბელმონდის უნივერსიტეტში გაიმართა.

პრეზიდენტობის კანდიდატებმა ეკონომიკის, ჯანდაცვის, ერაყსა და ავღანეთში აშშ-ის სტრატეგიის საკითხების გარდა, კავკასიაში შექმნილი სიტუაცია და ამ კონტექსტში საქართველოში რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული ქმედებები შეაფასეს.

— მოსკოვზე ზეწოლისათვის ჩვენს ხელთ არსებულ ყველა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბერკეტს გამოვიყენებთ. ჩვენ, ევროპელ პარტნიორებთან ერთად ვიმოქმედებთ. რუსეთის ქმედებებით ისინიც ჩვენსავით შეშფოთებულნი არიან, — განაცხადა მაკეინმა.

## რუსეთზე დაკისრებული დროებითი ღონისძიებები უნდა გაგრძელდეს

**სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო რუსეთის ფედერაციაზე დაკისრებული დროებითი ღონისძიებების კიდევ ერთხელ გაგრძელების შესახებ.**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, სასამართლომ რუსეთის ფედერაციის მთავრობას მოსთხოვა, მიიღოს ყველა საჭირო ზომა და იმოქმედოს კონვენციით მასზე დაკისრებული მოვალეობების შესაბამისად, რათა აღიკვეთოს ადამიანის უფლებათა დარღვევები რუსული ძალების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. რუსეთის ფედერაცია ვალდებულია მასზე დაკისრებული ღონისძიებების სისრულეში მოყვანის შესახებ სასამართლოს მიმდინარე წლის 7 ნოემბრამდე აცნობოს.

თავის მხრივ, საქართველოს მთავრობაც, 7 ნოემბრამდე სტრასბურგის სასამართლოს ინფორმაციას მიაწვდის აღნიშნული ღონისძიებების მიმდინარეობისა და კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

**ვარაუდი**

# გადიან თუ



**10 ოქტომბერს იწურება სარკოზი-მედვედევის შეთანხმებით გათვალისწინებული ვადა, როდესაც რუსებმა საბოლოოდ უნდა დატოვონ მათ მიერვე დაწესებული ე.წ. „ბუფერული ზონები“ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში - „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიებზე.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით სეპარატისტულ რეგიონებთან ერთად (ახალგორის ჩათვლითძ, ეს საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიის მესამედი იყო.

ჯერჯერობით თვალნათელია მხოლოდ რუსი ოკუპანტების გასვლა ფოთი-სენაკის ხაზზე მდებარე დასახლებული პუნქტებიდან. სხვაგან კი პროცესი გრძელდება და ლოგიკურ დასასრულამდე არ მისულა.

შიდა ქართლის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულმა ლადო ვარძელაშვილმა „ჯი-ეიჩ-ენ“ - ის კორესპონდენტს განუცხადა, რომ რუსები აშკარად ცდილობენ დრო გაიყვანონ, მაქსიმალურად გააჭიანურონ, თითქოს რაღაცას ელიან.

გუბერნატორის თქმით, „ჯერ კიდევ ორშაბათს ისინი გვეუბნებოდნენ და გვიბოდიშებდნენ კიდეც, რომ 10 ოქტომბრისათვის ვერ შეძლებდნენ ყველა პოსტის ალაგებას, რომ ეს რთული სამუშაოა და ასე შემდეგ. ამიტომ 12 ოქტომბრამდე გადავადებას ითხოვდნენ. სამშაბათს მათ ჩვენს რეგიონში, აგრეთვე საჩხერის რაიონში მდებარე რვავე პოსტის დემონტაჟი გააგრძელეს. თუმცა ამას უცნაურად აკეთებენ — ჩამოიყვანეს ტრაქტორი, რომელიც ნელა მუშაობს; ეს ტრაქტორი გადაჰყავთ პოსტიდან — პოსტზე; ასწორებენ მიწაყრილებს, რომელიც თავიდან ააგეს. რაიმე კაპიტალური ნაგებობა მათ არ აუშენებიათ. უბრალოდ კარვები ჰქონდათ და ქვებით თუ მიწით სავსე ტომრებით შემოღობეს. ჩვენ ხუმრობით შევთავაზეთ — ეგ ტრაქტორი დაგვიტოვეთ და თქვენი წასვლის შემდეგ მიწას ჩვენ თვითონ გავასწორებთო, მაგრამ უარი გვითხრეს. ახლა ასეთი ვითარებაა: ყველა პოსტი დაშალეს გარდა კარალეთის და ვარიანისა. იქ მხოლოდ მავთულხლართები მოხსნეს. სხედან და აშკარად ბრძანებას ელიან; მართალია თავდაპირველად გვეუბნებოდნენ 12-მდე ვერ მოვასწრებთ გასვლასო, მაგრამ როგორც ჩანს, ბოლო დღეს დაელოდებიან და კარალეთის პოსტს, აგრეთვე პოსტს ვარიანში უკანასკნელ მომენტში გააუქმებენ — ანუ 10 ოქტომბერს; რაც შეეხება საჩხერის რაიონს — იქ ერთადერთი პოსტი დარჩათ — სოფელ პერევთან, სადაც ჯავასთან დამაკავშირებელი გზა გადის. ხოლო ალისა და ჯვრის პოსტები ორი დღის წინათ გააუქმეს. ყველაფრით ჩანს, იქედანაც წასვლას აპირებენ, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას და ბრძანებას ელიან“, — განაცხადა ლადო ვარძელაშვილმა ჯი-ეიჩ-ენ“-თან საუბრისას.

მისი თქმით, რეგიონის ადმინისტრაცია მხოლოდ აკვირდება პროცესებს და პოსტების დაშლაში უშუალოდ არ მონაწილეობს.

რაც შეეხება რუსების თავდაპირველ განცხადებებს „12 ოქტომბრამდე გადავადების“ თაობაზე და იმას, რომ ზოგიერთი პოსტიდან გასვლისას აშკარად ფეხს ითრევენ (განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ნიშანდობლივია ამ მხრივ კარალეთისა და ვარიანის პოსტები, რომლებიც დიდი ქართული სოფლებისკენ გზას კეტავს და ათასობით ადამიანს სახლში დაბრუნების საშუალებას არ აძლევსძ ეს უეჭველად იმით აიხსნება, რომ რუსული გენერალიტეტი „კბილის კაწკაწით“ ელის კრემლში განწყობის შეცვლას.

სამხედროებს აშკარად იმედი ჰქონდათ, რომ ცხინვალის ტერაქტის შემდეგ რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა გადაიფიქრებდა ჯარის გაყვანას ბუფერული ზონიდან, საქართველოს ტერორიზმში დაადანაშაულებდა და საამისოდ გამოიყენებდა სარკოზი-მედვედევის შეთანხმებათა(!ძ ერთ-ერთ პუნქტს, რომელიც რუსეთს „უსაფრთხოების დამატებითი ზომების“ მიღების უფლებას აძლევს და მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას ქმნის.

ამაზევე მეტყველებს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს საგამოძიებო ნაწილის განცხადება, რომ ცხინვალის ტერაქტის შემდეგ მათ თურმე ვარიანთან და კარალეთთან მდებარე ქართული სოფლების მოსახლეობის გამოკითხვა დაიწყეს იმის გასარკვევად, როგორ მოხვდა დანაღმული მანქანა სოფელ დიცში, საიდანაც იგი შემდგომ ოსმა მაროდიორებმა ცხინვალის მიმართულებით წაიყვანეს და საბოლოოდ რუსული სამხედრო შტაბის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. ამაზე მეტი ცინიზმი წარმოუდგენელია! — მათ ხომ შესანიშნავად იციან, რომ თავად გააძევეს ქართული მოსახლეობა ცხინვალსა და გორს შორის მდებარე ყველა სოფლიდან. აქედან გამომდინარე, იქ „დასაკითხი“ ნამდვილად არავინაა ამჟამად, მაგრამ ფორმალურად მაინც შეეძლოთ ეს საკითხი ხელზე დაეხვიათ და მანამ არ გაეყვანათ კარალეთ-ვარიანიდან ჯარები (ესე იგი არ დაეშვათ იქ ქართული იურისდიქციის აღდგენაძ, სანამ „ტერაქტის გახსნასთან დაკავშირებულ საგამოძიებო საქმიანობას“ არ დაასრულებდნენ.

◎ განსჯა

# „ქვეყანა, რომელიც ჩემს ქვეყანას აღარ ჰგავს“



**თავს უფლება მივეცი და ამ წერილის სათაურად (მცირე ინტერპრეტაციით) ავიღე ფრაზა, უცნობის სიმღერიდან „ქალაქი, რომელიც ჩემს ქალაქს აღარ ჰგავს“.**

პრინციპში მართლაც აღარ ჰგავს არც ქალაქი და არც ქვეყანა იმ ჩემს, ჩვენს ქვეყანას და ქალაქს, რომლის სადღეგრძელოსაც ხან განსხვავებულით ვსვამდით და ხან მაგიდაზე შედგომით. აღარ ჰგავს იმ ქვეყანას, რომლის ისტორიას, თუ გმირულ წარსულს თვალზე ცრემლმომდგარი ვუყვებოდით უცხოელ ტურისტს, თუ ახლობლის ოჯახში შეკრებილ საზოგადოებას და, მით უმეტეს, აღარ ჰგავს იმ საოცნებო ქვეყანას, როგორიც ყველაზე მოკრძალებულ ოცნებაში წარმოგვიდგებოდა.

არ შეგეშინდეს, ძვირფასო მკითხველო, ამ წერილში ნამდვილად არ ვაპირებ ვამტკიცო „იტალიური ეზოს“ „უპირატესობა“, რომელიმე სამშენებლო კომპანიის მიერ აგებულ კორპუსთან შედარებით და არც იმ თავგადასავლების მოყოლას ვაპირებ, რომლის საძიებლადაც 37 მანეთად ნაყიდი თვითმფრინავის ბილეთით დავდიოდით „სამყაროს ჭიპ“ მოსკოვში.

უბრალოდ ამ წერილით მინდა, თქვენი ყურადღება გავამახვილო იმ მთავარ პრობლემაზე, რომელმაც ჩვენი ქვეყანა დღევანდელ მდგომარეობამდე მიიყვანა.

პრობლემები კი საკმაოდ ბევრი გვაქვს.

პრობლემაა ომში უკან დახევა; პრობლემაა დაკარგული ტერიტორიები; პრობლემაა არსებული „ცხელი წერტილები“, რომლებშიც ყოველ წუთს ახალი კონფლიქტების წარმოშობაა მოსალოდნელი; პრობლემაა უმუშევრობა; პრობლემაა საკანონმდებლო ბაზა; პრობლემაა სამართალდამცველების მიერ, ადამიანის უფლებების სრული იგნორირება; პრობლემაა ჯანმრთელობის დაცვა, განათლების მიღება და კიდევ უამრავი სხვა, რომლებიც რიგითი უმუშევრიდან დაწყებული, პრეზიდენტით დამთავრებული ყველამ კარგად იცის. კარგად იცის და მათს შესახებ შეძლებისდაგვარად მსჯელობს კიდეც, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ მსჯელობს.

მთელი საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ მსჯელობს და ელოდება, რომ ვიღაც სხვა მოაგვარებს ყველაფერს.

პრეზიდენტს ამერიკისა და ევროპის იმედი აქვს, მთავრობისა და პარლამენტის წევრებს – პრეზიდენტის. ბიზნესმენებს – მთავრობისა და პარლამენტის წევრების, უმუშევრებს – ბიზნესმენების, ე. წ. პოლიტიკოსებს – უმუშევრების დ.ა.შ.

ამ მსჯელობასა და ლოდინში კი ქვეყნისთვის აბსოლუტურად არაფერი არ კეთდება. კეთდება კი არა, პირიქით. ყოველი დღე ახალი „უკან დახევით“ იწყება და გაურკვეველი მოგავლით მთავრდება.

ნებისმიერი პოლიტიკური ძალის მთავარი მოვალეობა არსებული მტრის წინააღმდეგ, კონკრეტული იდეით ხალხის გაერთიანებაა.

დღევანდელი საქართველოს მოსახლეობას კი, როგორც ზემოთ ჩამოვთვალე, საკმაოდ ბევრი „მტერი“ ჰყავს. „ჩვენი“ პოლიტიკოსები კი (ოპოზიციაც და ხელისუფლებაც) გაერთიანების ნაცვლად, მოსახლეობის „გულგრილობისა და გულგატეხილობის“ რეჟიმში ჩაყენებას უფრო უწყობენ ხელს.

ხელისუფლების პოზიცია აბსოლუტურად გასაგებია. მათი ერთადერთი სურვილია, რაც შეიძლება დიდხანს გაიხანგრძლივონ თავიანთი მდგომარეობა. ამისათვის კი აუცილებელია, შეინარჩუნონ არსებული ვითარება და მოსახლეობა მთლიანად მათ მოქმედებებზე დამოკიდებული გახადონ.

ერთ-ერთ მაგალითად, გორში არსებული ე.წ. „კარვების ქალაქიც“ გამოდგება. მიუხედავად იმისა, რომ დევნილთა უმრავლესობა ხელისუფლების მიმართ, რბილად რომ ვთქვა, „ოპოზიციურადაა“ განწყობილი, საკუთარი პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით, მაინც მათი იმედი აქვთ. უფრო სწორად სააკაშვილის იმედი.

მათი ასეთი პოზიცია ნამდვილად გასაგებია, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საინფორმაციო საშუალებების მიერ, დასავლეთიდან წამოსული დახმარებები ისე წარმოჩინდა, თითქოს ისინი პირადად სააკაშვილმა მოიპოვა.

არადა ასეთი სახის „დახმარებები“ ნამდვილად არ არის სააკაშვილის „პირადი კონტაქტების“ დამსახურება. ე.წ. „ცივილიზებული სამყარო“, გარკვეული ოდენობის დახმარებით, ყველა „გაჭირვებულ ქვეყანას უმართავს ხელს“. შორს რომ არ წავიდე, ამის მაგალითად სომალიც გამოდგება.

მძიმე ვითარების დროს, ნებისმიერი ხელისუფლება ცდილობს საკუთარ ხალხში გამარჯვების რწმენის გაღვიძებას. სხვადასხვა პიარ-საშუალებებითა, თუ ტექნოლოგიებით მოსახლეობის ბრძოლის უნარის გაძლიერებას.

ასეთ დროს, არ არსებობის შემთხვევაში, ხელისუფლება ხელოვნურად ქმნის ბრძოლისა, თუ შრომის გმირებს. რიგითი მოქალაქეებიდან „იქმნება“ ის ხალხი, რომელთა საქციელი მაგალითი ხდება ყველასთვის.

ჩვენი ხელისუფლება, კი ნორმალური ხელისუფლებისგან განსხვავებით, ცდილობს საკუთარი თავის ერთადერთ მხსნელ ძალად ჩვენებას. უფრო ზუსტად რომ ვთქვა, ცდილობს საკუთარი თავის არა მხსნელად, არამედ მხსნელ ძალასთან დამაკავშირებელ ერთადერთ რგოლად წარმოჩენას.

და კიდევ უფრო თუ დავკონკრეტდები, მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი „გვევლინება“ როგორც საგარეო, ისე შიდა პრობლემების მომგვარებლად.

მის მიერ უცხოური მედიასაშუალებებისთვის მიცემული ინტერვიუების შესახებ ინფორმაციის ქართულ პრესაში გახმიანება, საქართველოს მოსახლეობაში ასეთი განწყობის განმტკიცებას ისახავს მიზნად.

რაც შეეხება „შიდა პრობლემებს“: სააკაშვილს ნებისმიერ დროს შეუძლია ხელისუფლების რომელიმე (ან რამდენიმეძ წევრის მოხსნა. მოსახლეობის მიერ მისი ეს ნაბიჯი (რა თქმა უნდა შესაბამისი „შეფუთვის“ შემდეგძ „ხალხისადმი ზრუნვის“ მაგალითად იქნება აღქმული.

სხვისი ხელის შემყურედ ყოფნა მთლიანად კლავს პროტესტის გრძნობას და წინააღმდეგობის გაწევის უნარს. კლავს არა მხოლოდ საკუთარი თავის რწმენას, იწვევს გულგრილობასა და უიმედობას. ეროვნული, პატრიოტული გრძნობების გაქრობას.

საკმაოდ არაადეკვატურია ოპოზიციის პოზიციაც.

„ჩვენმა“ ოპოზიციამ, იმის ნაცვლად, რომ „პირნათლად შეასრულოს“ თავისი მოვალეობა და ყველანაირი საშუალებით ეცადოს ხალხში დაკარგული რწმენის გაღვივებას, „თბილად დაიბუდრა“ ტელეკომპანია „კავკასიაში“ და სხვადასხვა სისულელეების ფრქვევით ირთობს თავს (ზემოთ ნახსენები „საშუალებები“ საკმაოდ ბევრია. მათგან ყველაზე უმარტივესი, ჩვეულებრივი მიტინგია).

სწორედ ერთ-ერთი ასეთი „ფრქვევა“ იყო, ამ რამდენიმე დღის წინათ ბატონი ლევან ბერძენიშვილის მიერ ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში.

ბატონმა ლევანმა, დაკარგული ტერიტორიის უბრძოლველად დაბრუნების მაგალითად, გერმანიის გაერთიანება მოიყვანა და მოგვიწოდა, რომ სულ რაღაც 50 წელი დაველოდოთ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებას.

ბატონმა ლევანმა ალბათ არ იცის, რომ გერმანიაში ამ გაერთიანებისთვის მუდმივი ბრძოლა მიდიოდა და უამრავი სისხლიც დაიღვარა.

ალბათ ასევე არ იცის ბატონმა ლევანმა, რომ ორივე გერმანიაში ეთნიკურად გერმანელები ცხოვრობენ და ყველაზე თავგადაკლული გერმანელი კომუნისტიც, ამ გაერთიანების მომხრე იყო (ბუნებრივია ის კომუნისტი გფრ-ს გასოციალისტებაზე იოცნებებდაძ.

ალბათ ვერ ხვდება ბატონი ლევანი, რომ მაშინ, როცა ის ხალხი, რომლებიც ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ, შრომობდნენ და ნათესაურ კავშირებსაც ამყარებდნენ, ქართველების მტრებად იქცნენ, რა დამოკიდებულება ექნებათ ჩამოყალიბებული ქართველების მიმართ „დამოუკიდებლობის“ წლებში დაბადებულ და გაზრდილ ბავშვებს?

რბილად რომ ვთქვა, ბატონ ლევან ბერძენიშვილის მიერ გამოთქმულ ცუდ აზრებთან შედარებით, ძალიან სასაცილოდ ჩანს ქალბატონი ნინო ბურჯანაძის მიერ ხელისუფლების წინაშე დასმული ორმოციოდე კითხვა.

ეტყობა ქალბატონი ნინო პარლამენტის თავმჯდომარედ ყოფნის პერიოდში ისე მიეჩვია მემორანდუმებს, რომ თვითონაც პირველივე შესაძლებლობის დროს გამოიყენა ე. წ. ოპონენტთან ურთიერთობის ეს ფორმა.

რაღა დაგიმალო, ძვირფასო მკითხველო, და მართლა გულწრფელად მაინტერესებს, თავიდან ბოლომდე თუ წაიკითხა ვინმემ ყოფილი თავმჯდომარის ნაღვაწი? (მხოლოდ პარლამენტარები არ მყავს მხედველობაში. საერთოდ ვინმემ თუ წაიკითხა, ქალბატონი ნინოს ორგანიზაციის წევრების ჩათვლითძ.

აქ გამახსენდა ფრაზა, რომელსაც ილფისა და პეტროვის ცნობილი რომანის „თორმეტი სკამის“ მთავარი გმირი, მაღალი კვალიფიკაციის თაღლითი ოსტაპ ბენდერი ხშირად უმეორებს ერთ-ერთ თავის „მსხვერპლს“. ეს ფრაზა დაახლოებით ასე ჟღერს: დასავლეთი დაგვეხმარება.

ბევრი რომ არ ვილაპარაკო, მოკლედ ვიტყვი, რომ დასავლეთიც დაგვეხმარება და აღმოსავლეთიც. დაგვეხმარება ჩრდილოეთიც და სამხრეთიც, მაგრამ თუ ჩვენს თავს თავად არ დავეხმარეთ, ნამდვილად არაფერი არ გამოგვივა.

**გია გაბრიჭიძე.**

◎ ვარაუდი

# არა რუსები?

ასეთი შესაძლებლობა და საშიშროება კვლავაც არსებობს, თუმცა კრემლს ალბათ ხელს არ აძლევს დასავლეთთან ურთიერთობის მორიგი დაძაბვა იმ დროს, როდესაც პრეზიდენტი მედვედევი პირველი ომისშემდგომი ტურნესათვის ემზადება – პრეზიდენტ სარკოზის მიწვევით იგი აპირებს დაესწროს ევიანის სამიტს.

რუსეთისთვის ეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა, ვინაიდან ევიანში ფინანსური კრიზისის პრობლემატიკა განიხილება, რუსეთს კი ამით საშუალება ეძლევა, სცადოს იმის დემონსტრირება, რომ, ყოველ შემთხვევაში, „ფინანსური დიდი რვიანიდან“ მისი გარიცხვა მიზანშეუწონელია, რაკი გლობალური კრიზისის დაძლევა რუსეთის გარეშე პრობლემური იქნება.

ამ გლობალური მესიჯის მზადებისას კი მედვედევს ნამდვილად არ ეპიტნავება ევიანის სამიტის ატმოსფეროს მოწამვლა – მასპინძლის ანუ ნიკოლა სარკოზის შეურაცხყოფით.

თუმცა, რუსეთისგან ამგვარი მკვეთრი ნაბიჯიც არ იქნება მოულოდნელი – მსოფლიო პრესაში ხომ უკვე გაჩნდა არც თუ ბოლომდე საფუძველსმოკლებული მოსაზრებები, რომ საქართველოსთან ომი რუსული გენერალიტეტის იმ აგრესიული ნაწილის ინიციატივა იყო, რომელიც პუტინის წყალობით მოხვდა ხელისუფლებაში და შიშობდა, ვაითუ დიმიტრი მედვედევმა დასავლეთში საკუთარი „ლიბერალური იმიჯის“ შექმნას გადაგვაყოლოსო.

თუმცა, ეს შიშები გადაჭარბებული აღმოჩნდა, რაკი მედვედევი პუტინზე დიდი ძმტაცებელი“ აღმოჩნდა – მისმა წინამორბედმა ჩეჩნეთში (ანუ საკუთრივ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე) განახორციელა სამხედრო ოპერაცია, ხოლო მედვედევმა რუსული ჯარები საზღვარგარეთ გამოიყენა - პირველად 1979 წელს ავღანეთში სსრკ ინტერვენციის შემდეგ. ანალოგიური ვითარებაა დასავლეთ საქართველოში. ოღონდ იქ საკუთარი საფრთხეები და სპეციფიკა აქვს.

რუსები უკვე შლიან ურთას სამხედრო ბანაკს, სადაც 1994 წლიდან მათი ე.წ. „სამშვიდობო კონტინგენტი“ და „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სამხრეთ უსაფრთხოების ზონის“ შტაბი იყო განლაგებული. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რითაც დასტურდება, რომ 1994 წლის გაზაფხულზე, ედუარდ შევარდნაძისა და სანდრო კავსაძის მიერ მოსკოვში აფხაზურ და რუსულ მხარეებთან გაფორმებული შეთანხმებები აღარ არსებობს – ისინი მთლიანად დენონსირებულია არა იმდენად საქართველოს პარლამენტის ამასწინანდელი გადაწყვეტილებით, რამდენადაც ფაქტობრივი მდგომარეობითა და რეალობით; რუსეთს აღარ დარჩა არანაირი იურიდიული საფუძველი საკუთარი ჯარები ჩვენს ქვეყანაში შეინარჩუნოს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ გარეთ.



მაშასადამე, რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ ის პოსტი, რომელიც სოფელ ცაიშთან ხვდებოდა ათწლეულების განმავლობაში ყველას, ვინც ზუგდიდისკენ მიემგზავრებოდა – ამიერიდან აღარ იარსებებს.

მთავრდება აგრეთვე რუსი ოკუპანტების „რეიდები“ ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონის სოფლებში, მათი ყოფნა ჯვართან, ანუ სვანეთისაკენ მიმავალ გზაზე.

თუმცა, რაც შეეხება ენგურისპირა სოფლებს – იქ აფხაზური და რუსული ფორმირებები კვლავ ერთობლივად მოქმედებენ.

აფეთქებებმა ფახულანში და ხურჩასთან აფხაზი „ბოევიკის“ ლიკვიდაციამ დაადასტურა, რომ მშვიდობა ამ რეგიონში მერყევი და არასტაბილურია.

გალის რაიონში აფხაზეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი რუსლან ქიშმარია კი პირდაპირ იმუქრება ქართული სოფლების გადაწვით.

კერძოდ, სამშაბათს, „ჯი-ეიჩ-ენ“-თან საუბრისას ქიშმარიამ განაცხადა, რომ „თუ სოფელ ხურჩადან ქართული ფორმირებები უმოკლეს ვადაში არ იქნებიან გაყვანილნი და ამგვარი ინციდენტები განმეორდება, ჩვენ ამ სოფელს უბრალოდ აღვგვით პირისაგან მიწისა, რადგან იგი აქ გველების ბუდედ გვიქციეს და ხალხს გვიხოცავენო“.

საეჭვოა ამგვარ ინციდენტებში ევროპელი დამკვირვებლები უშუალოდ ჩაერიონ.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან გვაცნობეს, ევროპელ მონიტორთა მანდატი მხოლოდ და მხოლოდ დაკვირვებას ითვალისწინებს, ხოლო „ევროპის სწრაფი რეაგირების კორპუსის“ შემოყვანა კონფლიქტის კერებში ოფიციალურ დონეზე არ განიხილება და საეჭვოა ეს საკითხი დღის წესრიგში რეალურად დადგეს, - თუ რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობათა ამჟამინდელ დონესა და ფორმატს გავითვალისწინებთ.

**ნიკა ვაშაკიძე**
**ჯი-ეიჩ-ენი**

ოპოზიცია

# მამუკა კაციტაძე: საერთაშორისო საზოგადოებრიობა მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლება აუცილებლად უნდა შეიცვალოს, მაგრამ არა დესტაბილიზაციის გზით



***„ახალმა მემარჯვენეებმა“ პირველებმა დაარღვიეს ომის გამო აგვისტოში გამოცხადებული მორატორიუმი და მიხეილ სააკაშვილის გადადგომა მოითხოვეს. რუსული ტანკებისაგან ავარდნილ მტვერსა და ბუღში გახვეულ საზოგადოებას ეს პირობა თავიდან ეუხეშა, თუმცა მღელვარების ჩაცხრობის შემდეგ, არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური პარტიები, ქვეყანაში ცვლილებების აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ.***

***რას ფიქრობენ თავად მემარჯვენეები, რა გზით აპირებენ ბრძოლის გაგრძელებას და პოლიტიკური პროცესების წარმართვას, ვრცლად გვესაუბრა პარტიის ერთ-ერთი აქტიური სახე მამუკა კაციტაძე.***

— ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკურად აქტუალური თემა არის აგვისტოს მოვლენები, ის შედეგები, რაც მოჰყვა ამ მოვლენებს და რომელმაც მხოლოდ უარყოფითი ფონი შექმნა პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სამხედრო თუ ჰუმანიტარულ სფეროში. ამის მიუხედავად, ჩვენი ხელისუფლება ამბობს, რომ პირიქით, საქართველოსთვის ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა, რადგან საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით მომგებიან სიტუაციაში ვიმყოფებითო. თუმცა ბოლო დროს აღმოჩნდა, რომ ესეც ფუჭი ყოფილა. მაგალითად, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, როცა სააკაშვილი გამოვიდა საქართველოს თემაზე, დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. ძალიან საინტერესო იყო გამომსვლელთა სია, კერძოდ, აშშ-ს პრეზიდენტი, გაეროს გენერალური მდივანი, საფრანგეთის პრეზიდენტი. სამივე მათგანმა საკუთარ გამოსვლებში მხოლოდ გაკვრით მოიხსენია საქართველო, მაშინ, როცა გაეროს ერთმა წევრმა სახელმწიფომ დაარღვია მეორე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა. და როცა სახელმწიფოებს შორის მსგავსი სახის კონფლიქტია, გაეროს შტაბში ამაზე არც კი მსჯელობენ.

ევროსაბჭოს რეზოლუციის მე-5 პუნქტით დადასტურდა ისიც, რომ საომარი მოქმედებები საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო, რასაც ჩვენ, ოპოზიციის წარმომადგენლები, იმთავითვე ვამბობდით და რის გამოც ლამის მიწაში ჩაგვდეს ოპონენტებმა.

გასაგებია, რომ მე-6 პუნქტში უარესი წერია რუსეთთან მიმართებაში, მაგრამ რუსეთი რომ აგრესორია, ეს ახალი არ არის მსოფლიოსთვის. ეს არის რუსეთის სახე, მაგრამ არა საქართველოს სახე, რომელიც იჩემებდა, რომ მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა გადაწყდეს კონფლიქტი.

ანუ ის ერთი პლუსიც — საგარეო პოლიტიკაში წარმატება, რაც მოიტანა აგვისტოს მოვლენებმა და რასაც ხელისუფლება ამტკიცებდა, ყალბი და უსუსური აღმოჩნდა. სხვა ყველაფერი იყო მინუსი — ტერიტორიების დაკარგვა, მსხვერპლი, დევნილების რიცხვის გაზრდა, არმიის დემორალიზაცია და სამხედრო კრახი, ასევე ეკონომიკური და ჰუმანიტარული კრიზისი. ამდენი მინუსის ფონზე, ომის დამთავრების შემდეგ, ჩვენ განვაცხადეთ, რომ უბედურების მომტანი ხელისუფალნი უნდა გადადგნენ. მემარჯვენეებს არ აქვთ კითხვები, აქვთ პასუხები, რის გამოც ხელისუფლება უნდა წავიდეს.

**— თქვენი აზრით, თუ აქვს დარჩენილი ხელისუფლებას რამე შანსი?**

— როგორც სახელმწიფოს — საქართველოს შანსი აქვს საგარეო პოლიტიკაში, მაგრამ ხელისუფლება დარჩა უშანსოდ, მან თავად მოიჭრა ყველა გზა, როგორც ქვეყნის გარეთ, ისე შიგნით. მას დარჩა მოქმედების მხოლოდ ერთი საშუალება, ძალისმიერი მეთოდების გამოყენება საკუთარი ხალხის მიმართ, პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ.

რაც შეეხება საგარეო ვითარებას, საერთაშორისო პოლიტიკა და საერთოდ, უცხოელი ქვეყნები დღესდღეობით ერთი რამით არიან დაინტერესებული, არ გამოვიდეს კონტროლიდან პროცესები, რომელიც მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის შიგნით, რაც მათი ინტერესების დარღვევას გამოიწვევს. მოგეხსენებათ, აშშ-ს თავისი ინტერესები აქვს, ასევე — ახალი და ძველი ევროპის ქვეყნებს. ჩვენზე ყველამ ჭკუა ისწავლა და იხეირა. ჩვენ ისევ ვრჩებით მსოფლიო საზოგადოებრიობის ინტერესის სფეროში, თუნდაც იმიტომ, რომ არ მოხდეს არეულობა, რადგან ეს გამოიწვევს დესტაბილიზაციას რეგიონში, რაც მათთვის მიუღებელი და დაუშვებელია. ამიტომ არის, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლება აუცილებლად უნდა შეიცვალოს, თუმცა არა დესტაბილიზაციის გზით. თუკი ქართული ოპოზიცია შესთავაზებს გზას დესტაბილიზაციის თავიდან არიდებისას, მაგრამ ხელისუფლების შეცვლისას, ეს გზა მათთვის მისაღებია და ხელშეწყობაც იქნება.

**— თქვენ ამის შესახებ უტყუარი ინფორმაცია გაქვთ?**

— რა თქმა უნდა, გვაქვს.

**— რა ტექნიკური გზებით შეეცდებით ხელისუფლების შეცვლას?**

— მკაცრად კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოქცეული პოლიტიკური პროცესებით: პოლიტიკური ზემოქმედებით, დაუმორჩილებლობით და მასობრივი საპროტესტო ტალღით, რაც იძულებულს გახდის ხელისუფლებას, წავიდეს. მაგრამ თუ ხალხის მხრიდან იქნება რიტორიკა: შევიჭრათ, დავანგრიოთ, ჩამოვაგდოთ და ა.შ. ჩვენ მოსახლეობას უნდა გავაგებინოთ, რომ შენობის აღებით მთავრობას ვერ შევცვლით. ის სხვა შენობაში გადავა.

**— იქნებ უფრო დააკონკრეტოთ, რას გულისხმობთ მშვიდობიანი პროტესტის ფორმაში?**

— არსებობს მიტინგი, დემონსტრაცია, პიკეტირება, საპროტესტო ცოცხალი ჯაჭვი. წარმოიდგინეთ, რომ მძღოლი საჭესთან არ ჯდება, მასწავლებელი გაკვეთილზე არ შედის, მეწარმე საწარმოს აჩერებს და ა.შ. მახსოვს 1988 წელს როგორ იფიცებოდნენ ქარხნები...

**— რამდენად არის მზად ასეთი მოძრაობის დასაწყებად მთელი საზოგადოება?**

— ეს უნდა მოხდეს გარკვეულ დროში. ყველაფერს პოლიტიკოსები მარტო ვერ შევძლებთ, თუ პროცესების მიმართ მოსახლეობამაც თავისი წილი პასუხისმგებლობა არ გაიზიარა.

**— ამაზე თუ მუშაობთ?**

— ჩვენ შევიმუშავეთ გეგმა, მაგრამ ახლა დეტალებზე საუბარს ნუ მომთხოვთ. მარტო ერთი პარტია რომ კრიტიკული მასის აგორებას ვერ შეძლებს, ესეც გასაგებია. ამ ბოლო დროს გვიკიჟინებენ, რატომ შეხვდით ბურჯანაძეს, ნოღაიდელსო. სწორედ ამ კრიტიკული მასის მისაღებად, თუმცა ეს არ ნიშნავს ჩვენს ალიანსს მათთან. ჩვენი პარტია ბურჯანაძეში ან ნოღაიდელში ვერ ხედავს პოლიტიკურ პარტნიორს, მაგრამ არის გზები, რომელიც ცივილიზებულად უნდა გავიაროთ.

**— დაახლოებით ხომ არ იცით, ამისთვის რა დრო დაგჭირდებათ?**

— დროის განსაზღვრა რთულია. ახლა ამბობენ, რომ თითქოს 7 ნოემბერს უნდა წავიდეს ეს ხელისუფლება, რომ 8-ში უკვე დაგვიანებული იქნება და ა.შ. ამ აზრს ნამდვილად არ ვეთანხმები. ეს მოხდება მაშინ, როცა საზოგადოებრიობა ამისთვის უკვე მზად იქნება.

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

გავლენ? არ გავლენ? საკითხავი აი, ეს არის!

# 10 ოქტომბერიც მალე დადგება

**რუსეთის ფიტილა პრეზიდენტი ხან ესპანეთის პრემიერს, ხან გერმანიის კანცლერს, ხან კიდევ ვის არ ჰპირდება — საქართველოდან ჯარებს დათქმულ დროში გავიყვანო. ეს დათქმული დროც მოდის. ახლა მთავარია, მეზობელმა არაფერი გვიხიმანდროს ისეთი, რომ მერე ან წასვლა გადაიფიქროს, ან წავიდეს და გზაში „შემთხვევით“ საბურავი დაეშვას.**

გორელი თამადა და მოსწრებული სიტყვა-პასუხის ხაზინადარი გოგი მეყანწიშვილი ასეთ შემთხვევაში რუსებს ეტყოდა: „როგორც მოსვლით „გაგვახარეთ“, ისე წასვლით გაგვახარეთ“. დაუპატიჟებელი სტუმრების წასვლით ბევრი რამ შეიცვლება კარალეთი-ერგნეთის ზონაში. სოფლებში დაბრუნდებიან დევნილები. თავადაც კარგად იციან, რაც დახვდებათ — გადამწვარი და გაძარცული სახლ-კარი, გატაცებული პირუტყვი, გაჩეხილი და გავერანებული ვაზი, ბაღი და ბოსტანი. მაგრამ არა უშავს, ბევრჯერ ვყოფილვართ ამ დღეში, მთავარია შინ დაბრუნდე, კერაზე ცეცხლი გააჩაღო, ყველაფერს მოესწრები.

თითებზე ითვლიან დღეებს კარალელი, ტყვიაველი, ტირძნელი, ერგნელი და სხვა სოფლებიდან გორში შემოხიზნული ბავშვები. ერთი სული აქვთ, როდის მიაკითხავენ მშობლიურ სკოლას. ბევრს ხომ დედაენა ჯერაც არ გაუშლია, არ წარმოუთქვამს ჯადოსნური „აი ია“.

გორსა და გორის რაიონში ახალი სასწავლო წელი 23 სკოლაში დაიწყო. ამ დღეებში მათ კიდევ სამი — სვენეთის, თორტიზისა და ახალდაბის სკოლები შეემატა. ათი ოქტომბრიდან კიდევ 12 სკოლამ უნდა გაუღოს კარი მოსწავლეებს. მაგრამ რა მდგომარეობაშია თავად ეს სკოლები, ან რა გადაურჩა რუსი აგრესორების, ოსი მაროდიორების მსახვრალ ხელს? ტირძნისის საშუალო სკოლა დაწვას რომ გადაარჩინეს, ეს მხოლოდ სოფლელების სიმამაცის წყალობით. აი, რა უამბო ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს ამ კუთხის შვილმა, მწერალმა გერონტი გოგინაშვილმა: ეს ის სკოლაა, შარშან, სექტემბერში, პირველად რომ დაირეკა ზარი და ევროსტანდარტებით აშენებულ, ახალი დგამავეჯით და ინვენტარით აღჭურვილ სკოლაში 518 მოსწავლე მერხებს მიუსხდა. ერთი წლის შემდეგ კი აქ უკვე ომი იყო — მოსახლეობამ სოფელი მასობრივად დატოვა. იქაურობა რუსებისა და ოსების სათარეშოდ იქცა. 620-კომლიან სოფელში რამდენიმე ათეული კაცილა თუ დარჩა — მეტწილად ქალები და მოხუცები.

— 9 აგვისტოს ხმა გავარდა, — გვიამბო ტირძნისელმა სვეტლანა მაისურაძემ, — მტერი შემოვიდაო. სოფელი დედაწულიანად აიყარა და ვისაც რით შეეძლო, გორსა და თბილისში გადაიხვეწა. 11-ში ოსი მოთარეშეები, როგორც სოფლის ნამდვილი ბატონ-პატრონები, ისე გრძნობდნენ თავს. მიჰყავდათ საქონელი და ტრაქტორ-კომბაინები, ძარცვავდნენ სახლებს, შემდეგ კი წვავდნენ. რამე უბედურება არ დაგვაწიონო და შეშინებულები ბაღებში ვიმალებოდით. ერთ დღესაც დაიძახეს: სკოლა იწვისო. ფრთხილად გამოვედით ბაღებიდან. საღამო ხანი იყო. მაროდიორებს თავიანთი საქმე მოეთავებინათ და წასულიყვნენ. სკოლისთვის კი ცეცხლი წაეკიდებინათ.

სვეტლანა მაისურაძემ, ზაირა, მარინე ზერეკიძეებმა, ნინო გოგინაშვილმა და სხვებმა სწრაფად მოიტანეს ვედროები და ხანძრის ჩაქრობას შეუდგნენ. ბედად, სკოლის გვერდით რუ მიედინებოდა. ღამე ჩამოწვა და ხანძარიც ჩააქრეს. ორი საკლასო ოთახი საკმაოდ დაზიანდა, მაგრამ ეს სად მოვა იმ ზარალთან, რაც ხანძარს შეეძლო გამოეწვია...

რამდენიმე დღეც და ტირძნელები თავიანთ სოფელში დაბრუნდებიან, შემდეგ სასკოლო ზარიც დაირეკება, კვლავ ახმიანდება იქაურობა და სკოლაში მისული პატარები მშობლებთან ერთად მადლობას ეტყვიან მათ, ვინც ცოდნის კერა ხანძარს გადაარჩინა.

ამ მადლობას ჩვენც ვუერთდებით.

**გურამ ვაშაკიძე**

ინფორმაცია

## ისრაელსა და საქართველოს შორის ურთიერთობა გაუმჯობესდება

**ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იცხაკ გერბერგმა პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს რწმუნებათა სიგელები გადასცა.**



**ოფიციალური ცერემონიალის დასრულების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტსა და ისრაელის ელჩს შორის გაიმართა საუბარი, რომელზეც მხარეებმა ორმხრივი ურთიერთობის საკითხები განიხილეს.**

**მათ იმედი გამოთქვეს, რომ ტრადიციული ურთიერთობა ორ მეგობარ ქვეყანას შორის სამომავლოდ უფრო გაღრმავდება და თანამშრომლობის ყველა სფეროს მოიცავს.**



ინტერპრესნიუსი

გუშინ, დღეს...

# აღუვსებელი საწყაული,

## ანუ ამაოება ამაოთა



მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა ძლიერი ძალის წარმოქმნამ (ევროკავშირია მხედველობაში) არ გამოიწვია სხვა ქვეყნების წინააღმდეგობა. თითქმის ყველა მსხვილი სახელმწიფო (მაგალითად, ესპანეთი XVI საუკუნეში, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები XIX საუკუნეში, შემდეგ გერმანია, იაპონია, საბჭოთა კავშირი XX საუკუნეში, აშშ – XXI საუკუნეში) თავისი გავლენის საპირწონე ძალის შექმნის პროვოცირებას ახდენდნენ. ევროპა კი ისე გახდა ერთიანი და ძლიერი, რომ მეზობლების ამგვარი დამოკიდებულება არ გამოუწვევია. ნიშანდობლივია, რომ ისეთი დიდი სახელმწიფოები, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი, რუსეთი, ინდოეთი ევროპის ეკონომიკური სიძლიერის ზრდაში ნაკლებ საფრთხეს ხედავენ, ვიდრე ერთმანეთის ეკონომიკის ცვლილებებში.

ინგლისელი მეცნიერი არნოლდ ტოინბი ამტკიცებდა, რომ კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ცივილიზაციები შეეჯახებიან ერთმანეთს. ცივილიზაციური წინააღმდეგობები გამოჩნდა იმ კონფლიქტში, რომელიც დასავლურ ცივილიზაციასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის არსებობს. XX საუკუნესა და XXI საუკუნეში დასავლეთის ცივილიზაცია ევრო-ამერიკული გახდა. ამერიკის შეერთებული შტატები პრეტენზიას აცხადებს მსოფლიოში პოლიტიკურ და ცივილიზაციურ ჰეგემონობაზე. მიუხედავად ევროპული ქვეყნების მცდელობისა, შეინარჩუნონ თავისი ტრადიციები და ცხოვრების წესი, ამერიკანიზაცია მაინც მიმდინარეობს.



დღესდღეობით როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ისე ევროპის ქვეყნების მნიშვნელოვანი პრობლემაა დემოგრაფიული ვითარება. შემცირებულია შობადობა და გაზრდილია უცხოელთა შემოჭრა (იმიგრაცია). ეს ორი ფაქტორი ცივილიზაციის განვითარებას ან უკან სწევს, ან ცივილიზაციებს დაცემით ემუქრება. დიდია სიკვდილიანობა. ევროპის არც ერთ სახელმწიფოში (მუსლიმური ალბანეთის გარდა) ადგილობრივი მოსახლეობის შობადობის დონე არ იძლევა ბუნებრივი მატების გარანტიას. ეს მდგომარეობა ევროპის მსხვილ ქვეყნებში ათწლეულების მანძილზე გრძელდება. ბევრ ქვეყანაში ადგილობრივი (მკვიდრი) მოსახლეობის რიცხვი მცირდება კიდეც. მიჩნეულია, რომ უცხოელ მიგრანტთა რიცხვის ზრდამ, რაც კატასტროფული ინტენსიურობით ხდება, შეიძლება დასავლეთის დეკონსტრუქცია და ცივილიზაციის დაღუპვა გამოიწვიოს.

ბარბაროსთა შემოსევებმა რომის იმპერიის დაღუპვა განაპირობა (ა.ტოინბი). შექმნილი კრიზისი – დაშლილობა და ქაოსი, კათოლიკურმა ეკლესიამ განმუხტა. შეიქმნა რა ახალი რელიგიური თემი, მან დასაბამი მისცა ახალ კულტურასა და ცივილიზაციას. აქედან დაიწყო ქრისტიანული სამყაროს ისტორია. XV-XVIII საუკუნეებში ქრისტიანულმა სამყარომ, ევროპის ქვეყნებმა ბევრი სიახლე შესძინეს მსოფლიოს. ევროპა XX საუკუნეში, პრაქტიკულად მთელ პლანეტას განაგებდა. დასავლეთის წინსვლას დაქვეითება მოჰყვა. დაეცა ესპანეთის იმპერია, 1914–1945 წწ. დასავლური ცივილიზაციის ომი სასიკვდილო ჭრილობებით გასრულდა. 1918 წლისათვის დაეცა გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის იმპერიები. მეორე მსოფლიო ომმა ბრიტანელებისა და ფრანგების ბატონობას მოუღო ბოლო. ომის დამთავრების შემდეგ ერთმანეთზე მიყოლებით დაიშალნენ დასავლეთის ფორპოსტები: სუეცი, პალესტინა, როდეზია, სამხრეთ აფრიკა, ჰონკონგი. ევროპას აზიასა და აფრიკაში აღარაფერი დარჩა.

1990-1991 წწ.-ში საბჭოთა კავშირი დაიშალა თხუთმეტ ცალკეულ სახელმწიფოდ. ამჟამად აფრიკელები, აზიელები, მუსლიმები სხვადასხვა ქვეყნებიდან, ლათინურ-ამერიკელები, რომლებზეც დასავლეთი ერთ დროს ბატონობდა, საკმაოდ აქტიურად ავსებენ ყოფილი მეტროპოლიების მოსახლეობას.

მოსახლეობის სიკვდილიანობა, კულტურის დეზინტეგრაცია და უცხოელთა (იმიგრანტთა) შემოჭრაზე წინააღმდეგობის გაუწევლობა დასავლურ ცივილიზაციას მწვავე კრიზისით ემუქრება. თითქმის მთელ მსოფლიოში შეიქმნა პენსიონერთა სიჭარბე, რომლებიც მშრომელთა კმაყოფაზე არიან. ამ უკანასკნელთა რიცხვი ევროპაში თანდათან იზრდება. 1960 წელს 60 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა 20%-ს შეადგენდა, 2000 წელს კი 35%-ს გაუტოლდა. პროგნოზით 2020 წელს ეს მაჩვენებელი 47%-მდე გაიზრდება. 2050 წელს კი 70%-ს მიაღწევს. აქედან გამომდინარე, ევროკომისიამ გათვალა, რომ 2040 წლისთვის წლიური მატება დაიკლებს დაახლოებით 2%-იდან 1,25%-მდე.

ცხადია, პროგნოზისტი დემოგრაფების მიერ გამოვლენილი ტენდენცია არ ნიშნავს გარდაუვალ კატასტროფას. ცნობილია, რომ დემოგრაფიული წინასწარმეტყველებების უმრავლესობა არ გამართლდა. ასეთი ბედი ხვდა წილად თომას მალთუსის აპოკალიპტურ დასკვნას მოსახლეობის გეომეტრიული პროგრესით ზრდისა და მათი შიმშილით მასობრივად დაღუპვის შესახებ. არ არის გამორიცხული ცდომილება თანამედროვე პროგნოზებისაც. ამისი გარკვეული ნიშნები შეიმჩნევა კიდეც. ასე მაგალითად, წლების მანძილზე შობადობის კლების შემდეგ ინგლისში, საფრანგეთში, შვედეთში, დანიასა და ნორვეგიაში გარკვეულ სასიკეთო დემოგრაფიულ ცვლილებებთან გვაქვს საქმე. ამჟამად შობადობის ყველაზე დაბალი დონის ევროპულ ქვეყნებს: იტალიას, გერმანიასა და ესპანეთს საგანგებო ზომების გატარება უხდებათ (ძირითადად ფინანსური და საგადასახადო შეღავათები), რათა მოხდეს ცოლქმრული წყვილების სტიმულირება შვილიანობის რიცხობრივი გაზრდის მიზნით.

მძიმე დემოგრაფიული ვითარებაა რუსეთშიც. გამოკვეთილია მოსახლეობის შემცირების ტენდენცია. მხოლოდ 2005 წელს 750000 რუსი გარდაიცვლა, შემცირებული შობადობის ფონზე მოსახლეობა 143 მილიონამდე შემცირდა. როგორც ვარაუდობენ, შობადობის დაბალი დონისა და ადრეული სიკვდილიანობის პირობებში, უახლოეს 10 წელიწადში მოსახლეობა კიდევ 10 მილიონით შემცირდება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩინელი მუშები და ვაჭრები, ყოველწლიურად ათასობით კაცი, გადმოდის და იკავებს რუსეთის ტერიტორიას.

როცა ცივილიზაციათა დაპირისპირებაზეა ლაპარაკი, აქ განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ჩინეთი – უძველესი წარსულისა და ცივილიზაციის ქვეყანა, მზარდი მოსახლეობით. არ გამოვრიცხავთ (ცხადია, ჩვენ არა ვართ ორიგინალური), რომ XXI საუკუნეში ჩინეთი და ჩინური ცივილიზაცია მთელს მსოფლიოში წამყვანი გახდეს. დღესდღეობით ჩინეთში მნიშვნელოვან პრობლემად რჩება დემოკრატიის მდგომარეობა და ადამიანის უფლებების დაცვა. ქვეყანაში შეიმჩნევა სწრაფვა მერიტოკრატიული (განსაკუთრებულად განათლებულთა მმართველობა) სისტემის შექმნისაკენ კომუნისტური პარტიის შიგნით; მიიზიდეს წარმატებული ბიზნესმენებიც. ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ ჩინეთი ემზადება დიდი რევოლუციისათვის – დემოკრატიული რევოლუციისათვის (სახელმწიფო და საქალაქო დონეზე არჩევნების დაწესება).

აბრაამ ლინკოლმა თავის ერთ-ერთ „მიმართვაში" დემოკრატია განსაზღვრა, როგორც ხალხის მმართველობა, რომელიც ხალხის მიერ ხორციელდება, ხალხისავე ინტერესებში. სახელმწიფო უნდა იყოს ანგარიშვალდებული ხალხის წინაშე და მისი პოლიტიკა ხალხის ნებას უნდა შეესაბამებოდეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩინეთისთვის დემოკრატიული გარდაქმნების გატარება ხანგრძლივი პროცესი იქნება.

ჩინეთი შევიდა მსოფლიო ბაზარზე და მნიშვნელოვანი ადგილიც დაიკავა. იგი მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკასა და მრავალმხრივი ურთიერთობების პრინციპს ემხრობა. როცა ჩინეთი ზესახელმწიფო გახდება (ეს ადრე თუ გვიან აუცილებლად მოხდება), იგი თავის გავლენას სხვა დიდ სახელმწიფოებზეც გაავრცელებს. აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა გულწრფელად და დარწმუნებით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს დღესდღეობით სხვა ქვეყნებთან შედარებით პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო უპირატესობა აქვთ. მაგრამ 30 წლის შემდეგ ჩინეთის ეკონომიკას შესაძლებლობა აქვს აშშ-ს ეკონომიკას გაუთანაბრდეს, შეიძლება უფრო წინაც წავიდეს. მაშინ ამერიკა ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიოში ლიდერობას შეინარჩუნებს, ბატონობას კი ვერა. კლინტონი დარწმუნებულია, რომ თუკი ამერიკა და ჩინეთი შეეჯახებიან (დაუკვირდით – ესეც ცივილიზაციათა შეჯახების მაგალითია), საკითხი საერთაშორისო სამართლის ნორმებით გადაწყდება და არა სამხედრო ძალით.

ფაქტი ერთია – ჩინეთი წინ მიიწევს და მსოფლიოსთვის არსებით, ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს.

ალბათ მართებულია მეცნიერთა მოსაზრება, რომ დასავლეთს მოუწევს სხვადასხვა ცივილიზაციის არაერთი კონტრდარტყმის გადატანა. ამასთან, დასავლეთი უნდა შეებრძოლოს, ერთი მხრივ, ცივილიზაციურ ექსპანსიას, მეორე მხრივ, „ჩასახლებულთა" (მიგრანტთა) ექსპანსიასაც. ევროპის ქვეყნებისა თუ ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქები სავსეა აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოსახლებულებით. თითქოსდა უწყინარი მიგრანტები (ასე მოჩანდნენ ერთ დროს) ევროპელებისათვის მიუღებელი გახდნენ, რადგან სერიოზული საფრთხე შეუქმნეს როგორც სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობას, ასევე პოლიტიკურ კულტურულ ვითარებას.

1960 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში აზიისა და ესპანურენოვანი ქვეყნებიდან ჩასული 5 მილიონი კაცი ცხოვრობდა. დღესდღეობით მათი რიცხვი 57 მილონს შეადგენს. ყოველწლიურად აშშ-ში შემოედინება 1–2 მილიონი კაცი, თანაც თითქმის მათი ნახევარი არ სცნობს ამერიკის კანონებსა და მის საზღვრებს. არის არალეგალურ მიგრანტთა დიდი მასა (შეფასებით 12-დან 20 მილიონამდე). მიუხედავად ამერიკელთა წინააღმდეგობისა, ამერიკის ტრანსფორმირება მაინც ხდება. შპენგლერისა და ტოინბის წყალობით, კარგადაა ცნობილი ბზარშეპარული ცივილიზაციის ნიშნები: რწმენის დაკარგვა, მორალის დაქვეითება, ძველი ღირებულებების სიძულვილი, კულტურის კოლაფსი და ნების დამბლა. ამას ემატება კიდევ ორი გარემოება – მკვიდრი მოსახლეობა მცირდება და წინააღმდეგობა არ ეწევა უცხო ქვეყნებიდან მიგრანტთა შემოჭრას.

ამერიკის ელიტარულმა საზოგადოებამ ღიად უსაყვედურა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს, რომ მისი თაოსნობით 2006 წლის მაისში გამოცხადდა ამნისტია 12 მილიონი უკანონოდ შემოსული იმიგრანტისათვის. თავად პრეზიდენტს მოუნდა აღიარება, რომ აშშ-ში კანონდარღვევით შემოჭრისას 4,5 მილიონი უცხოელი დაიჭირეს, რომელთაგან 350000 კაცს კრიმინალური წარსული ჰქონდა (ჯ.ბუშის გამოსვლა ტაქსონში 2005 წლის ნოემბერში).

დღესდღეობით ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთაგან 36 მილიონი წარმომავლობით უცხოელია. აქედან 30% მექსიკელები არიან. საინტერესოა იმიგრაციის წარსულიც. 1820-იან წლებში აშშ-ში 150000 იმიგრანტი შევიდა, 1840-იან წლებში – 1,7 მილიონი, 1870-იან წლებში – 2,8 მილიონი, 1880-იან წლებში – 5,2 მილიონი, XX საუკუნის პირველ ათწლეულში – 8,8 მილიონი კაცი. ასე რომ, აშშ რეალურად მრავალენოვანი, მრავალრასული, მულტიეთნიკური და მულტიკულტურული ქვეყანაა. ვერ სრულდება თეოდორ რუზველტის მოწოდება, რომ ამერიკელებს შეეცნოთ საკუთარი თავი და იმადვე დარჩენილიყვნენ. ამერიკელი პოლიტოლოგები შიშობენ, ხომ არ მიდის ქვეყანა ბალკანიზაციისაკენ, რაც თავის მხრივ სახელმწიფოს განადგურებას მოასწავებდა.

**როინ მეტრეველი.**
**აკადემიკოსი**

**(გაგრძელება იქნება)**

---

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 188-189.**

ერთობლივი განცხადება

# ოპოზიცია მასმედიის მასობრიობას ითხოვს

**ყველა კარგად აცნობიერებს, რომ დემოკრატია წარმოუდგენელია თავისუფალი სიტყვის გარეშე და თავისუფალი მედია ქვეყნის დემოკრატიულობის განმსაზღვრელია.**

მედიის თავისუფლებაზე ცოტა ხნის წინათ პარლამენტის ტრიბუნიდან პრეზიდენტმაც ილაპარაკა და თოქ-შოუების განახლების აუცილებლობასაც გაუსვა ხაზი. პრეზიდენტის ამ განცხადების შემდეგ რამდენიმე კვირა გავიდა, მედიასივრცეში კი საგრძნობი ცვლილებები არ შეიმჩნევა. არასაპარლამენტო ოპოზიცია ამით აღშფოთებულია და მიიჩნევს, რომ ხელისუფლება მიზანმიმართულად ახორციელებს „ავტორიტარულ მმართველობას, საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფას და დემოკრატიის ფაქტობრივ არსებობას". სწორედ ამიტომ ერთობლივი განცხადება გააკეთეს ოპოზიციურმა პოლიტიკურმა გაერთიანებებმა: „ახალმა მემარჯვენეებმა", „ერთიანი საქართველოსთვის", „საქართველოს გზამ", კონსერვატიულმა, ლეიბორისტურმა, რესპუბლიკურმა და ხალხის პარტიებმა. ისინი ერთობლივ განცხადებაში საქართველოში მაუწყებელ ყველა ტელევიზიას ხელისუფლების პროპაგანდის იარაღად მიიჩნევენ. ეს არხები კი, მათი თქმით, საზოგადოებრიობას ობიექტური ინფორმაციის ნაცვლად ვირტუალურ რეალობას სთავაზობენ.

განცხადებაზე ხელისმომწერი ოპოზიციური პარტიები ხუთ მთავარ მოთხოვნას აყენებენ და ფიქრობენ, რომ მოთხოვნების დაკმაყოფილება თავისუფალი მედიისათვის პირველი გადადგმული ნაბიჯი იქნება. ოპოზიციონერთა მთავარი მოთხოვნებია: აღდგეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ „პრაიმტაიმი" საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში და გაიმართოს ყოველდღიური პოლიტიკური დებატები; საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში საზოგადოების ნდობით აღჭურვილ დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ჯგუფს დაეთმოს საეთერო დრო ჟურნალისტური გამოძიებისათვის; დაუბრუნდეს ტელეკომპანია „იმედი" მის კანონიერ მესაკუთრეს; მიეცეს ტელეკომპანია „მაესტროს" საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემის გაკეთების საშუალება; საზოგადოებას დაუყოვნებლივ მიეწოდოს ამომწურავი ინფორმაცია საქართველოში მოქმედი ყველა ტელეკომპანიის მესაკუთრეთა ვინაობის შესახებ, შესაბამისი იურიდიული პირების მესაკუთრე ფიზიკური პირების ვინაობის ჩათვლით.

ზემოთ ხსენებული ოპოზიციური პარტიები საერთაშორისო დონორებსა და საელჩოებს მოუწოდებენ, ყველა საშუალებით შეუწყონ ხელი მედიის მრავალფეროვნებას საქართველოში.

**ზვიად ძიძიგური:** „ჩვენი მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, საზოგადოება უფრო მეტ სწორ ინფორმაციას მიიღებს. მოთხოვნების არშესრულების შემთხვევაში, მოვლენები ასე განვითარდება, როგორი განვითარებაც არავის არ გვინდა – დაიწყება ისევ საპროტესტო აქციები, გამოსვლები და ა.შ. ოპოზიცია ხალხთან უკომუნიკაციოდაა დარჩენილი და რა თქმა უნდა, ამას ვერ შევეგუებით".

მედიის თავისუფლება და მის მისაღწევად გადადგმული ნაბიჯების შესრულება მნიშვნელოვანია რესპუბლიკური პარტიის ლიდერისთვისაც. „ჩვენი მოთხოვნების შესრულება და მედიის თავისუფლება ის თემებია, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა ნებისმიერი სხვა საკითხისათვის. ჩვენ არ გვინდა ხალხმა მიიღოს გადაწყვეტილება ისე, რომ სიმართლეში არ იყოს გარკვეული. ეს არის ელემენტარული მოთხოვნები და ამაზე საუბრობს მთელი მსოფლიო", – გვითხრა დავით უსუფაშვილმა.

იხ. 9 გვ.



ინფორმაცია



### უნგრეთი ნატოში გვეპატიჟება

**უნგრეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, საქართველო და უკრაინა დეკემბერში ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმას მიიღებენ. ამის შესახებ „იტარ-ტასი" იტყობინება.**

**გაზაფხულზე ნატოს სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგება. ბლოკი „ღია კარის" პოლიტიკას ატარებს და აქ ცვლილებები არ იგეგმება, – აღნიშნა უნგრეთის თავდაცვის მინისტრმა.**

**თავდაცვის მინისტრი იმედს გამოთქვამს, რომ უკრაინისა და საქართველოსთვის ის მინიჭება რუსეთისა და ნატოს სამომავლო ურთიერთობებს არ გააფუჭებს.**

**ამავე დროს აშშ-ს ელჩი უკრაინაში აცხადებს, რომ უკრაინის დაახლოება ნატოსთან დამოკიდებული იქნება ქვეყანაში პოლიტიკურ სიტუაციაზე.**

ინტერპრესნიუსი

გლობუსი

# დაგვიანებული

გასულ კვირას ევროკავშირის მისია შეუდგა საქმიანობას. ამ ამბავმა ისე გაახარა საქართველოს პოლიტიკური სპექტრი, თითქოს ომი მოეგოს. ხელისუფლებისა და კონტროლირებადი ტელეკომპანიების მხრიდან ბოლო არ უჩანს უკიდეგანო ოპტიმიზმს. ისეთი საზეიმო განწყობის მომასწავებელი ჰანგები მოედო „ბედნიერ" საქართველოს, რომ უკეთესს ვერ ინატრებს კაცი. **მონიტორინგის ამოცანებიდან გამომდინარე დამკვირვებლები მხოლოდ დააკვირდებიან ვითარებას, ყოველგვარი ჩარევის გარეშე და მოახსენებენ ამის შესახებ ევროკავშირს. ან როგორ უნდა ჩაერიოს უიარაღო დამკვირვებელი? ჯერაც გაურკვეველია შეუშვებენ თუ არა მათ თავიანთ ტერიტორიაზე „ახალი ქვეყნები". ისინი კატეგორიულად ითხოვენ, რომ მისიას სახელი შეეცვალოს და დაერქვას მას – მისია საქართველოში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.** სახელის გადარქმევა ევროკავშირის მიერ „ახალი ქვეყნების" დამოუკიდებლობის აღიარების ტოლფასია.

მისიისთვის ზომაზე მეტი მნიშვნელობის მინიჭება ან გულუბრყვილობაა ან საზოგადოებისათვის თავგზის აბნევა. სხვას არაფერს ემსახურება ვაშაკიძის წერილი, რომელიც ამას წინათ გამოქვეყნდა პრესაში. ავტორი ძალიან ხმამაღლა აცხადებს შემდეგს: „ევროპამ იკისრა პასუხისმგებლობა, რომ დაიცვას ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს. სულხან საბა ორბელიანის ეპოქიდან ეს, რეალურად პირველი შემთხვევაა და ამჟამად უკვე თვით საქართველოზეა დამოკიდებული გარდაიქმნება თუ არა, დროთა განმავლობაში ეს პატარა მისია ევროკავშირთან ყოვლისმომცველი ინტეგრაციის მრავალწლიანი პროცესის აღმძრავ მექანიზმად".

რა დააშავა ამ უბრალო დამკვირვებელთა მისიამ ისეთი, რომ ამოდენა ტვირთს ვკიდებთ?! უპირველეს ყოვლისა, მისიის ერთ-ერთი ინიციატორი, რუსეთის პრეზიდენტი მედვედევიც იყო, რომლის აზრით ევროკავშირის თავის თავზე უნდა აეღო იმის გარანტია, რომ საქართველო არ გაიმეორებდა 7 აგვისტოს აგრესიას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ მოუწოდა ბუფერულ ზონებს.

მეორე – ევროპა დაფრთხა ახალი, სერიოზული, ცხელი წერტილის შექმნის პერსპექტივით და რომ ამას არ ჰქონოდა ადგილი, სარკოზი, ევროკავშირის ამჟამინდელი თავმჯდომარე, არ გაქანდებოდა მოსკოვსა და თბილისში. ევროპისთვის მთავარია ახალი აგრესიის დროული შეჩერება. **მიუხედავად სააკაშვილის საგარანტიო წერილისა მედვედევის სახელზე, ზოგიერთთა მილიტარისტული შემართება აფიქრებს ბრიუსელს; რაც შეეხება იმაზე ოცნებას, რომ მონიტორინგის მისია დასაწყისი იქნება საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციისა, უზომოდ გადაჭარბებულია. ოცნებით ყველაფერზე შეიძლება კაცმა იოცნებოს, მაგრამ თუ ოცნებაში, იოტისოდენა მარცვალი რეალობისა გაერევა, ტკბილი სიზმარიც დასრულდება. ევროკავშირში ძალით შეყვანა, რასაც ამერიკელთა ძალისხმევით ადგილი აქვს ნატოსთან მიმართებაში,შეუძლებელია. ევროკავშირის დამფუძნებლები ხშირად საკუთარ თავსაც საყვედურობენ ორგანიზაციის მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებით გაფართოებისათვის და მზადყოფნას გამოხატავენ მომავალში თავი შეიკავონ ასეთი ქმედებისაგან.** ცნობისათვის იმასაც მოგახსენებთ, რომ ევროკავშირში გაწევრებისათვის მინიმუმ საჭიროა დემოკრატიული საზოგადოება და ეკონომიკური წინსვლა. არც ერთს საქართველოში ადგილი არ აქვს. ჩვენი თვალის ასახვევად ნაყიდი „ეკონომიკური წარმატებებით" ქვეყანა ფონს ვერ გავა. რაც შეეხება დემოკრატიას – ყველამ ვიცით და მათაც კარგად იციან, რა დემოკრატიას აქვს ადგილი საქართველოში. არც ნატოს „მაპის" მონიჭებასთან დაკავშირებით არის საქმე კარგად. სანკტ-პეტერბურგში მედვედევთან შეხვედრის დროს გერმანიის კანცლერმა მერკელმა განაცხადა, რომ უკრაინა და საქართველო მაპის მინიჭებისათვის მზად არ არიან.

**აგვისტოს ომით საქართველომ გამოავლინა ის, რაც ევროპისათვის არის მიუღებელი. და რომ არა ევროპის ნაკლებმეგობრული განწყობა რუსეთისადმი, ჩვენდამი დამოკიდებულება მძიმე იქნებოდა, ამ შემთხვევაში რუსეთის ფაქტორი დადებითად მოქმედებს საქართველოზე, ვინაიდან ევროპას თავისი ანგარიში აქვს რუსეთთან, მაგრამ საერთო ჯამში, როდესაც კონკრეტულ შედეგს ვიხილავთ, უაღრესად უარყოფითად, მარტო დაკარგული ტერიტორიები რად ღირს?!**

გასულ კვირას ევროსაბჭომ განიხილა ცხინვალის მოვლენები და საქართველო დაადანაშაულა ომის დაწყებაში, რის შესახებაც ქართულმა მასმედიამ დაუმალა საზოგადოებას, ხოლო სტრასბურგში მყოფმა პარლამენტარებმა ისეთი პათოსით ილაპარაკეს მორიგ პოლიტიკურ გამარჯვებას და რუსეთის დამარცხებაზე, უკეთესს ვერ ინატრებდით. ცხადია, რუსეთის მისამართით იყო მკვახე გამოსვლები, მაგრამ ის, რაც საქართველოს მისამართით ითქვა, ნამდვილად არ არის პოლიტიკურ-დიპლომატიური გამარჯვების ამსახველი. ევროსაბჭომ, მიღებულ დოკუმენტში აღნიშნა თხოვნა რუსეთის მიმართ, უარი თქვას სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებაზე. დოკუმენტის სულისკვეთება მოითხოვდა ამგვარი მოსაზრების დაფიქსირებას, თორემ ევროკავშირმაც კარგად იცის, რომ რუსეთი არ ალოკავს თავის გადაფურთხებულს. სტრასბურგში მყოფმა რუსმა დეპუტატებმა ერთხმად განაცხადეს, რომ რუსეთის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ შეიცვლება ევროსაბჭოდან გარიცხვის მუქარითაც.

გაერომ, ევროსაბჭომ, ევროკავშირმა, ჰააგის სასამართლომ სხვებმა და სხვებმა, ისევ რუსეთის ფაქტორიდან გამომდინარე, გაახმიანეს საქართველოს შესახებ, მაგრამ ის, რაც 7 აგვისტომდე იყო, საქართველოს ტერიტორია, აღარ იქნება... ყოველ შემთხვევაში უახლოესი 30 წლის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, რამდენად სჯერათ ხელისუფლების წარმომადგენლებს, საკუთარი განცხადებებისა, რომ რუსეთს შეაცვლევინებენ გადაწყვეტილებას?

**დავუშვათ, რომ ასეც მოხდეს, რამდენად არის მზად აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, 7 აგვისტოს შემდეგ, რომ აღარაფერი ვთქვათ 1990 წლიდან არსებული არაერთი აგრესიული გამოხდომისა, დაივიწყონ ყოველივე – სისხლისღვრა, დაღუპული ოჯახის წევრები და ახლობლები, დანგრეულ-განადგურებული ცხოვრება და დაუბრუნდნენ საქართველოს? შეძლებენ ისინი ქართველებთან ერთად, ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას? აშშ-მა და ევროკავშირმა განა ამ მოტივით არ ცნეს კოსოვოს დამოუკიდებლობა? კოსოვოელები ვერ იცხოვრებენ სერბებთან ერთად! დღეს აღნიშნულზე ფიქრიც კი ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფია. მაგრამ რახან ასე გვსურს ფანტაზიის მოხმობა,**



სპეციალისტის აზრი

# ლუბოვ შევცოვა: რუსეთში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა არამდგრადია და ადრე თუ გვიან დაინგრევა



***რუსეთში არსებული ეკონომიკური კრიზისის მიზეზებზე და კრიზისის დაძლევის პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსი" მოსკოვის კარნეგის ცენტრის წამყვან სპეციალისტს პროფესორ ლუბოვ შევცოვას ესაუბრა.***

**— ქალბატონო ლუბოვ, თქვენი აზრით, რეალურად რა ხდება რუსეთის ეკონომიკაში? რამ გამოიწვია რუსეთში ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი?**

— ცხადია, რომ ახლანდელი ფინანსური კრიზისი რუსეთში თანდათანობით ეკონომიკურ კრიზისში გადადის. შეიძლება გამოვყოთ კრიზისის ორი კატეგორია — სიტუაციური მიზეზები, რომლებიც ამერიკასა და მსოფლიოში გლობალურ ფინანსურ კრიზისსა და რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მოქმედებებს, პირველ რიგში პრემიერ-მინისტრ პუტინის ქმედებებს უკავშირდება. ამ მოქმედებებში ვგულისხმობ იმ ფაქტს, რომ პუტინმა გაუფრთხილებელი განცხადებებით პრაქტიკულად დააქცია რუსული კომპანია "მეჩელი" და "მეჩელთან" დაკავშირებულ კონფლიქტში მხარი დაუჭირა კომპანიის რუს ინვესტორებს. ამან კი დასავლელ ინვესტორებში რუსეთის ხელისუფლებისადმი ეჭვისა და უნდობლობის საფუძველი გააჩინა. ფინანსური კრიზისის სიტუაციურ მიზეზად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე რუსეთის ომი საქართველოსთან.

რაც შეეხება კრიზისის სისტემურ მიზეზებს. სისტემურმა ფაქტორმა გამოიწვია რუსეთის ეკონომიკის სტაგნაცია. სისტემური ცვლილებების გარეშე რუსეთის ეკონომიკის ახალ დონეზე გაყვანა, სრულფასოვანი ზრდისა და კეთილდღეობის შექმნა შეუძლებელია. რუსეთის ხელისუფლებას არ შეუძლია ინფლაციის დაძლევა. ინფლაცია რუსეთში ეკონომიკის მონოპოლიზაციის შედეგია. ეკონომიკის მონოპოლიზაციის პირობებში ინფლაციის დაძლევა შეუძლებელია.

სისტემური კრიზისის მეორე მიზეზი გახლავთ რუსეთის კორპორატიული ვალის ზრდა, რომელიც ამჟამად 500 მილიარდ დოლარს აჭარბებს. სინამდვილეში ამ ვალის ოდენობა უახლოვდება რუსეთის ოქროსა და ვალუტის მარაგს. კორპორატიული ვალის რეფინანსირება რუსეთმა წლის ბოლომდე უნდა განახორციელოს. სად უნდა აიღო სესხი უცნობია, ვინაიდან დღევანდელ მსოფლიოში ლიკვიდურობის ზედმეტი რესურსი არ არსებობს. კორპორატიული ვალი ეს სახელმწიფო კომპანიების, "გაზპრომის", "როსნეფტისა" და სხვა სახელმწიფო კომპანიების ვალია და იგი რუსეთის ბიუჯეტის მესამედს შეადგენს.

სისტემური მიზეზის მესამე ფაქტორია ის, რომ რუსეთის ეკონომიკა არადივერსიფიცირებულია. როცა ეკონომიკა არადივერსიფიცირებულია, იგი არ შეიძლება იყოს მდგრადი. მეოთხე პრობლემაა რუსეთის შიდა ბაზარზე ენერგოდეფიციტი. ხელისუფლებამ ორიენტაცია აიღო ენერგომატარებლების, გაზისა და ნავთობის ექსპორტზე. ენერგეტიკის გარეშე რუსეთის ეკონომიკის აღორძინება შეუძლებელია.

გარდა ამისა, არსებობს კიდევ ორი ფაქტორი, ინფრასტრუქტურის ცუდ დღეში ყოფნა, რის გამოსასწორებლად საჭიროა გზებისა და რკინიგზის მშენებლობა. სისტემური მიზეზის შედეგია ასევე დემოგრაფიული პოტენციალის შემცირება. ეკონომიკის ექსტენსიური მოდელისათვის შრომითი რესურსები არასაკმარისია. ყველა ეს მიზეზიცა და ფაქტორიც 3-4 წლის განმავლობაში ამ პრობლემებზე იქნება კონცენტრირებული.

რუსეთის ეკონომიკა სტაგნაციის სტადიაში შედის, რაც შემდეგ სისტემური კრიზისის საფუძველი გახდება. სისტემური კრიზისის რეალური დაძლევა სისტემის ორიენტაციის შეცვლის გარეშე, შეუძლებელია.

ეკონომიკის რეალურად გარდაქმნა შესაძლებელია მხოლოდ ორი სხვა პრობლემის შემთხვევაში. ეს პრობლემებია — ხელისუფლებისა და საკუთრების შერწყმისა და კერძო საკუთრების ინსტიტუტისადმი უპატივცემულობის პრობლემის გადაწყვეტა. თუ ხელისუფლებამ დაიწყო ამ პრობლემების დაძლევა, მაშინ შესაძლებელი გახდება რუსეთის ეკონომიკის რეალურად გარდაქმნა. ამ შემთხვევაში შესაძლებელი გახდება ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა. ცხადია, რომ ამ პრობლემების გადაჭრის გარეშე რუსეთი ვითარების დროებითი გაუმჯობესების მიმართულებით იმოძრავებს. ეს საქმეს არ წაადგება და დაემსგავსება არა დაავადების მკურნალობას, არამედ ტკივილების გაყუჩებას.

**— გადადგამს თუ არა რუსეთის ხელისუფლება კონკრეტულ ნაბიჯებს რუსეთში პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის შესაცვლელად?**

— როგორც ჩანს, რუსეთის პოლიტიკური ელიტა და საზოგადოება ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სისტემის შეცვლისათვის მზად არ არის. ჩემი აზრით, რუსეთში სხვადასხვა ხარისხით ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი გაღრმავდება. შესაძლოა, კრიზისი არც ისე მწვავე იყოს, მაგრამ ცხადია, რომ რუსეთში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა არამდგრადია და ადრე თუ გვიან დაინგრევა.

**— თქვენ გაკვრით აღნიშნეთ, მაგრამ გთხოვთ დააზუსტოდ, რა როლი შეასრულა რუსეთში არსებული ეკონომიკური კრიზისის დაწყებასა და გაღრმავებაში რუსეთ-საქართველოს ომმა?**

— რუსეთის ომი საქართველოსთან რუსეთის ეკონომიკისათვის დარტყმა იყო და კრიზისის დაწყების კიდევ ერთი ფაქტორი აღმოჩნდა. ომი, დასავლელი ინვესტორებისათვის, რუსეთის ეკონომიკური სისტემის მდგრადობისა და სტაბილურობისადმი ნდობის თვლსაზრისით, დარტყმა აღმოჩნდა.

უდავოა, რომ ნებისმიერი პოლიტიკური რყევა, რუსეთში ინვესტიციების განხორციელების პოლიტიკურ რისკებს ზრდის.

**კობა ბენდელიანი.**
**ინტერპრესნიუსი**

გლობუსი

# მისია



**წარმოვიდგინოთ, რომ აღდგა 7 აგვისტომდე არსებული ვითარება. ვინ დარწმუნდება იმაში, რომ ევროკავშირის 300 უიარაღო დამკვირვებელი მატროსოვივით ამბრაზურას გადაეფარება და აგრესიისაგან დაიცავს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს?** სამწუხაროდ, 2008 წლის 7 აგვისტომდე მსგავსს არაერთხელ ჰქონდა ადგილი და რომ არა სამშვიდობოები და თვით სეპარატისტული რეგიონების შეიარაღებული ძალები, 7 აგვისტო გაცილებით ადრე მოხდებოდა. ან იქნებ ხელისუფლებიდან ვინმემ აგვიხსნას, **მაშინ, როდესაც სეპარატისტული რეგიონები საქართველოს შემადგენლობაში იყვნენ, რა მოიმოქმედა ოფიციალურმა თბილისმა იმისათვის, რომ მათთან ერთად შეექმნა ერთიანი სახელმწიფო ერთი ჭერით და მისწრაფებებით? პირადად მე არ მახსოვს საქართველოს ხელისუფლების არც ერთი ნაბიჯი ამ მიზნის განსახორციელებლად, მაგრამ მახსოვს არძინბას წერილები და ფედერაცია-კონფედერაციის შექმნის გეგმა შევარდნაძის სახელზე, რასაც „დიდმა დიპლომატმა" აგრესია შეაგება.**

როდესაც საქართველოს ხელისუფლება სეპარატისტული რეგიონების მოსახლეობის მიერ არჩეულ ხელისუფლებას კრიმინალურს, ბანდიტურს უწოდებს და ინტერპოლის მეშვეობით ცდილობს მათ დაჭერას, შეძლებს ამ ამომრჩეველთან საერთო ენის გამოძებნას? იქნებ საქართველოს ხელისუფლებას მათთვის სხვა ხელისუფლება ჰყავს გამოძებნილი, მაგალითად სანაკოევისა და მჟავია-აქიშბაიას სახით და თავს იმშვიდებს, რომ ისინი მისაღები იქნებიან აფხაზებისა და ოსებისათვის? ვგონებ არც ეს უნდა იყოს ჯანმრთელი აზრის ნაყოფი.

**სამწუხაროდ 7 აგვისტოს მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. მისი გაფიქრებაც კი დანაშაულის ტოლფასი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რა გაეწყობა, მოხდა. შედეგი არა მარტო ხელისუფლების, ერთი ადამიანის, ერთი კონკრეტული პირის გასაზიარებელია, არამედ მთელი საზოგადოების, ორად დაყოფილის — ერთ მხარეს აგრესიულის, მეორეს— ინდიფერენტულის. სწორედ პირველმა იძალა და გადადგა გამოუსწორებელი ნაბიჯი, მეორე ნაწილის თვალწინ, მეორის უსუსურობის გამო. პირველმა, საკუთარი უცოდინარობის, ცრუ პატრიოტიზმის და თავდაჯერებულობის წყალობით ვერ შეაფასა არსებული ვითარება და ცხინვალის მისადგომები ჩოლოქად ჩათვალა.**

საზოგადოებას კარგად ახსოვს რუსეთის ჯარის ოქრუაშვილისეული შეფასება — „დაჟანგული ტანკები". სწორედ ამ დაჟანგული ტანკებით მოხერხდა თითზე ჩამოსათვლელ საათებში ამერიკელთა მიერ გაწვრთნილი და ამერიკული იარაღით შეიარაღებული არმიის დამარცხება. საკუთარი ძალების უძლეველობაში დარწმუნება ახალი არ უნდა იყოს ქალბატონი ნინოსათვის, რომელიც გაზაფხულამდე თავდაუზოგავად იცავდა ხელისუფლების ყველა ნაბიჯს, ყველა გადაწყვეტილებას. უფრო მეტიც აშშ-ში, დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე ყოფნის დროს, ტელეკომპანია RTVI-სთვის მიცემულ ინტერვიუში ისეთი თავდავიწყებით დაიცვა საქართველოს ხელისუფლება ცხინვალის ამბებთან დაკავშირებით, მსმენელს უნებლიედ გაუჩნდება შეკითხვა, ხელისუფლებაში ხომ არ დაბრუნდაო? და ასეთ დროს ერთობ მსუბუქად მეჩვენება ხელისუფლების მიმართ მის მიერ დასმული კითხვები. ავიღოთ მაგალითად: „რატომ ვერ განჭვრიტა საქართველოს ხელისუფლებამ მოსალოდნელი შედეგი და არ აიცილა თავიდან პირდაპირი სამხედრო დაპირისპირება რუსეთთან?" **ვინ, ვინ, მაგრამ ქალბატონმა ნინომ კარგად უნდა იცოდეს, რომ „ჭვრეტა" არასდროს ყოფილა „ვარდოსნებისათვის" მნიშვნელოვანი და აუცილებელი. „ჭვრეტით", ფიქრითა და ანალიზით რომ კარგა ხანია თავს არავინ იწუხებს, ესეც ყველასათვის კარგად ცნობილი ფაქტია. ისიც ცნობილია, რომ საქართველოში მხოლოდ ერთი კაცი „ჭვრეტს" და ფიქრობს. სხვას, ამის არავითარი უნარი არ აქვს, მოჭარბებული თინეიჯერობის, გამოუცდელობის და არაპროფესიონალური განვლილი ცხოვრების გამო. ავიღოთ მეორე კითხვა: „რატომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება ფართომასშტაბიანი მოქმედების შესახებ, მიუხედავად საქართველოს მეგობარი ქვეყნების არაერთი პირდაპირი გაფრთხილებისა არ წამოვგებოდით რუსულ აგრესიას"? ქალბატონი ნინო, ისე, როგორც მთელი ოპოზიცია, დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ მეგობრებმა, ანუ ამერიკელებმა, არაფერი იცოდნენ, პირიქით წინააღმდეგნი იყვნენ ომისა. სრულიად დასაშვებია, რომ რიგითმა ვაშინგტონელმა არათუ ომის, არამედ სადღაც, რუსეთის მეზობლად, მეორე „ჯორჯიის" არსებობის შესახებ, 8 აგვისტოს გაიგო, მაგრამ ვისაც უნდა სცოდნოდა, მან კარგად იცოდა — ხელისუფლების გარკვეულმა წრემ.**

თუ სპექტაკლში კედელზე თოფი ჰკიდია, ის აუცილებლად გაისვრის. ყველა ჩვენგანის თვალწინ, განსაკუთრებით ქალბატონი ნინოს, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში თავბრუდამხვევი სისწრაფით გაიზარდა საქართველოს სამხედრო ხარჯები. აშშ-ი, უკრაინა, ისრაელი, მიუხედავად ევროპაში დაშვებული შეიარაღების კვოტებისა, დღენიადაგ სხვადასხვა სახის იარაღით აძლიერებდნენ ქართულ არმიას. თვით უკრაინელი პარლამენტარების განცხადებით საქართველოს მიეწოდებოდა ის, რისი მიწოდებაც დაუშვებელი იყო. უკრაინის რადაში აღნიშნულის გამოსაძიებლად კომისიაც მუშაობს. ოფიციალური ვაშინგტონი ტყუილად ცდილობს ხელის საკაპიტალზე შეხოცვას. ვერავინ დაიჯერებს, რომ იმ უამრავი სამხედრო სპეციალისტიდან, რომელიც ქართულ არმიას წვრთნის, ერთმა მაინც არ იცოდა, რა მოხდებოდა 6-7 აგვისტოს.

აგვისტოს ომი გაცილებით ადრე დაიწყო განათლების, მეცნიერების, მწერლობის, ხელოვნების, კულტურის, პროფესიონალიზმის, საშუალო და უფროსი თაობის წინააღმდეგ. ის, რომ შიდა აგრესია სეპარატისტულ რეგიონებზე გავრცელდებოდა, ყველა კარგად ხვდებოდა, მაგრამ ტაშს უკრავდა „მეგობრების"ჩათვლით. ისიც კარგად იყო ცნობილი, რომ აფხაზეთთან მიმართებაში სააკაშვილისეული გეგმა სიტყვის მასალა იყო და მეტი არაფერი. სეპარატისტთა მოსარჯულებლად ძალის ენა იყო შემონახული. შედეგიც სახეზეა.

**გაეროს 63-ე გენერალური ასამბლეის დაწყებამდე, მისმა თავმჯდომარემ მიგელ დ ესკოტო ბროკმანმა პრესასთან შეხვედრის დროს თქვა: „საქართველო შეიჭრა სამხრეთ ოსეთში, ჩაიდინა რა აგრესიის აქტი, რითაც დაარღვია გაეროს წესდება". გერმანიის ყოფილმა პრეზიდენტმა რიჰარდ ვონ ვაიცზეკერმა კი აღნიშნა, რომ „რუსეთის მოქმედება სამხრეთ ოსეთში სრულიად ლეგიტიმური და გამართლებულია". „დოიჩე ველეს" კორესპონდენტი კრისტოფ ჰასელბახი აცხადებს: „როდესაც ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები ლაპარაკობენ საქართველოს შესახებ, ისინი შეგნებულად არ ამბობენ რა საზღვრებში გულისხმობენ ქვეყანას. ფორმალურად ისინი მხარს უჭერენ ტერიტორიულ მთლიანობას,კარგად ხვდებიან, რომ ეს ქიმერაა".**

ევროკავშირის დამკვირვებლები, ენერგიულად აკვირდებიან ვითარებას, მაგრამ გაცილებით უკეთესი იქნებოდა მათი აქ ყოფნა 2008 წლის 7 აგვისტომდე.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მსოფლიო საქართველოს შემდეგ



**ის, რომ ყველაფერი ყალბი ლაყბობით დამთავრდებოდა, მოსკოვმა კარგად გათვალა. ამერიკის სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის მკაცრი გამონათქვამები გასულ კვირას, უნდა ვიფიქროთ, იყო საქართველოსთან ომის გამო რუსეთის წინააღმდეგ კამპანიის ბოლო აქტი. ევროკავშირის შესახებ კი მთელი დარწმუნებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ იგი არ მიიღებს არავითარ კოლექტიურ ზომებს რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ.** თუმცა არსებითად იგივეს თქმა ნატოზე არ შეიძლება, მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ ნატოს სტრატეგია ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების გარეშე (გერმანია, საფრანგეთი, იტალიაძ არ იქმნება, სულ უფრო მკაფიოდ წარმოგვიდგება ვაჭრობის თითქმის უწინააღმდეგო მსვლელობა.

რუსებმაც, თავის მხრივ, დაასრულეს სამუშაო. აღიარეს „გათავისუფლებულთა", უფრო სწორად კი საქართველოსთან შეერთებისაგან დაცული, მაგრამ იურიდიულად ჯერ კიდევ ქართული ტერიტორიების – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარება, დადეს ამ „სახელმწიფოებთან" ხელშეკრულება მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ, განიმტკიცეს ამ ტერიტორიებზე თავისი ჯარისკაცების ყოფნა განუსაზღვრელი ვადით და ღიმილით დათანხმდნენ საზღვრისპირა ტერიტორიების ევროპელებისაგან ინსპექტირებაზე. ეს დათმობა, როგორც დაცინვა ისეთია, – ხომ ცხადია, რომ არც ოსებს და არც აფხაზებს არ სურთ „საქართველოს ნარჩენების" ნაწილების მიტაცება, უფრო პირიქით – თბილისს არ სურს უარი თქვას გამოყოფილ პროვინციებზე (რომლებზეც, სხვათა შორის, მას უკვე 15 წელია არ გააჩნია არავითარი მმართველობაძ.

სამი თვის შემდეგ კონდოლიზა რაისი, რომელიც არის ფორმალურად მოქმედი სახელმწიფო მდივანი და ბუშის ნდობით აღჭურვილი პირი, დაგმობს ერთხელ და სამუდამოდ პუტინი-მედვედევის დუეტის სერიულ დანაშაულებებს: ჩრდილოელი მეზობლების დაშინებას, ნავთობისა და გაზის გამოყენებას პოლიტიკურ ინსტრუმენტებად, მშვიდობიანი მეზობლების დაშინებას ბირთვული იარაღით.

რასაკვირველია, კონდოლიზა რაისს არ უთქვამს სიმართლე. დიდ რუსეთს ბევრი მეზობელი ჰყავს და ბევრი მათგანი არა დაშინებით, არამედ პიროვნული გამორჩენის გამო ეძებს მოსკოვთან „მოდუს ვევენდის". მოგება უმეტესწილად ეკონომიკურ სფეროშია. მაგალითი: თურქეთი – შეერთებული შტატების ყველაზე დაახლოებული მოკავშირე მოერიდა საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებათა დაგმობას, ვინაიდან გაზის მოთხოვნას თურქეთის სწრაფად მზარდი ეკონომიკისთვის ამ მომენტში დააკმაყოფილებს მხოლოდ რუსეთი.

ისინი, ვისაც არ აქვს უშუალო ისტორიული გამოცდილება რუსული ექსპანსიისა, როგორიც პოლონელები და ბალტიისპირელები არიან, წინასწარი განზრახვისა და ეჭვის გარეშე, პრაგმატული თვალსაზრისით განიხილავენ თავიანთ „რუსულ პრობლემას". თუ მხედველობაში არ მივიღებთ უკრაინის მილების გადაკეტვას რამდენიმე წლის წინათ (სადაც უფრო მეტი მატერიალური მიზეზი იყო, ვიდრე პოლიტიკურიძ, არაფრით არ შეიძლება იმისი დოკუმენტურად დადასტურება, რომ რუსული ნავთობი და გაზი ოდესღაც იყო „პოლიტიკური ინსტრუმენტი" მიმწოდებლის ხელში. დასავლეთი ევროპა იმიტომ კი არ არის შემსყიდველი რუსებისგან, რომ მას მოსწონს იარაღის მიზნის ქვეშ ყოფნა. დაბოლოს: ამერიკას რომ არ განეთავსებინა პოლონეთში ანტისარაკეტო ფარი, უსაფუძვლო არგუმენტების დაცვით, არცკი წამოიჭრებოდა იდეა საპასუხო ზომების შესახებ, რომლებსაც გვპირდებოდა რუსეთი. პოლონეთი, სხვათა შორის, ნატოს წევრია, თანაც გავლენიანიცაა, ამიტომ აბსოლუტურად გამორიცხულია სერიოზული დაშინება რუსეთის მხრიდან.

სხვა საქმეა, რომ რუსეთი – ნამდვილად XIX-XX საუკუნეების სტილში – უკვე ფორმალურად აცხადებს თავისი გავლენის სფეროების შესახებ. ეს მოწმობს მოძველებული აზროვნების შესახებ. არა იმიტომ, რომ სახელმწიფოები და ქვეყნების ჯგუფები არ ისწრაფვიან თავიანთი გავლენის ზონების გაფართოებისკენ, ან არ აქვთ მათ ასეთი ზონები, არამედ იმიტომ, რომ არ სურთ მათ ასეთი ზონების გაფართოება. მეზობლობა საბაბი როდია. შეერთებული შტატები, მაგალითად, პოზიციას გამოხატავს „თავიანთი ინტერესების ზონების მიხედვით" ისე, რომ უყურადღებოდ არ ტოვებს დედამიწის არც ერთ ნაწილს. ამ დროს იგულისხმება სამხედრო და ეკონომიკურ ძალაზე დაყრდნობა. ანდა ავიღოთ ევროკავშირი, მსოფლიოში ყველაზე დიდი „კოლექტიური ეკონომიკური სივრცე". ევროკავშირს გაფართოებისთვის აქვს მეტად ძლიერი ეკონომიკური ბერკეტები, ხოლო დაბრკოლებების უქონელი შინაგანი ბაზრები ივსება დღითი დღე უიმისოდაც, რომ გამოყენებულ იქნეს მცნება გავლენის ზონების შესახებ.

შემდეგი, საგანთან უშუალოდ დაკავშირებული პრობლემა არის ის, რომ „ხელშეკრულება მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ" აშკარა ვასალებთან დადო მხოლოდ კავშირმა – დაახლოებით ორმოცდაათიოსამოცი წლის წინათ. ვიცით, რა იყო მათი დანიშნულება, ამიტომ შემთხვევით როდია, რომ ზიზღს იწვევს ის, თუკი რუსეთი ასეთივე მეთოდებით ცდილობს მიიწებოს სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი და ამ დროს ლაპარაკობს საერთაშორისო სამართლებრივი შეთანხმების დადების შესახებ თანაბარუფლებიან პარტნიორებს შორის.

ამასთან ერთად რუსეთი მოძრაობს „საერთაშორისო იზოლაციისა და საკუთარი გაუფასურების" მიმართულებით, როგორც იფიქრებდა ან მოინდომებდა შეგონებას რაისი. სწორედ პირიქით. გასული კვირის ბოლოს სოჭში საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ფიიონმა აშკარად აგრძნობინა პუტინს, რომ საფრანგეთი არასოდეს არ დაიხევს უკან რუსეთთან ეკონომიკური კავშირების განვითარებასთან დაკავშირებით (მათ გვერდით იდგნენ საფრანგეთის ყველაზე დიდი საწარმოების პირველი პირებიძ. პარიზი, ევროკავშირის თავმჯდომარის რანგში, არც კი გამოდის, რომ შემდეგ თვეში, ესე იგი დაგეგმილ დროს, კვლავ დაიწყოს დროებით შეფერხებული მოლაპარაკება ახალი შეთანხმების შესახებ ევროკავშირსა და რუსეთს შორის თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

არავითარი სიურპრიზი. გერმანელები, ფრანგები და იტალიელები ფრთხილები იყვნენ ქართული ომის მეორე დღეს, უმეტესობისთვის რუსეთი ხომ ყველაზე დიდი ენერგომიმწოდებელი და სავაჭრო პარტნიორია. მაგრამ ყველაზე საინტერესოა, რომ შეერთებული შტატები, არსებითად, „სიფრთხილეში" მათი პარტნიორია. უგუნურია ის, ვინც ფიქრობს, რომ ღრიალს აქვს სუბსტანცია. მოვიყვან ორ მაგალითს: რაისმა ორი საათით ადრე, სანამ გამოვიდოდა ვაშინგტონში რუსეთის გამოსააშკარავებელი სიტყვით, ტელეფონით რუს კოლეგას სერგეი ლავროვს მიაწოდა ინფორმაცია. რატომ? შეიძლება იმიტომ, რომ გააფრთხილოს: საჭირო არ არის ყველაფრის სერიოზულად მიღება.

მეორე მაგალითი – ამერიკის თავდაცვის მინისტრი გეიტსი. მისი აზრით, ნატოს არც ერთი დღევანდელი წევრი სერიოზულად არ იფიქრებს, რომ რუსეთი წარმოადგენს ვინმესთვის რაიმე სამხედრო საფრთხეს. ეგეც შენ! გეიტსმა თავად გამოაცალა ხალიჩა ისეთ არგუმენტაციას, რომ ნატოს სჭირდება საპასუხო ნაბიჯები „საქართველოს შემდეგ", ვინაიდან მსგავსი ბედი შეიძლება ელოდოს ნატოს აღმოსავლელ წევრებსაც.

(რაც შეეხება სიფრთხილეს: მიაქცია კი ვინმემ ყურადღება, რომ სანამ რუსები „გადახნავდნენ" საქართველოს, ისინი არ შეხებიან ნავთობსადანებს, რომლებიც აკავშირებენ აზერბაიჯანსა და თურქებს საქართველოს გავლით? თუმცა საკმარისი იქნებოდა ორი ბომბიც კი. ეს ორი ნავთობსადენი ხომ არღვევენ რუსეთის მონოპოლიას ევროპისა და შუა აზიისთვის მიმწოდებლის რანგშიძ.

ამის შემდეგ რჩება მხოლოდ ერთი კითხვა. არის კი სერიოზული მცდელობა უკრაინისა და საქართველოს ნატოში მიღებაზე და ამით რუსეთის პროვოცირების მოხდენაზე? რაისს შეიძლება დაეთანხმო, რომ პუტინსა და კოს არ აქვთ ვეტოს უფლება ნატოს გაფართოების საქმეში. თეორიული.

მაგრამ თუ ნატო მხედველობაში მიიღებს, რომ არც უკრაინას, არც საქართველოს არ აქვთ ისეთი „დემოკრატიული მიღწევები" (ავტოკრატულად შეფასებულ რუსეთთან შედარებითძ, რომლებიც მათ წევრობის უფლებას მისცემდნენ; შემდეგ, თუ გათვალისწინებული იქნება, რომ ნებისმიერი გაფართოების წინ უკეთესია ღრმად ჩაისუნთქო, ვიდრე იჩქარო; თუ ნატო აწონდაწონის, რომ არის ავღანეთი, ირანი, ჩრდილოეთ კორეა, არის კიდევ ტერორიზმთან გლობალური ბრძოლა, სადაც რუსების მონაწილეობა შეუცვლელია, მაშინ უნდა მივიღოთ პრაგმატული გადაწყვეტილება. ვერდიქტი: არასაიმედო, საკუთარი სპონსორების მომტყუებელ, საშინაო კონფლიქტებსა და ტერიტორიულ დავებში ჩაფლულ ქვეყანას ნატოში ადგილი არ აქვს. მხოლოდ შემდეგ, მხოლოდ შემდეგ.

**ენდრე აცელი**

168óraonline

# ფედერალური საქართველო

**თურქეთსა და აზერბაიჯანს გათვალისწინებული აქვთ მოსთხოვონ თბილისს დაუბრუნოს აჭარას რეალური ავტონომია, აზერბაიჯანელ უმცირესობას ქვემო ქართლის ოლქში მიანიჭოს განსაკუთრებული სტატუსი და საქართველოში დააბრუნოს თურქი მესხები.**

როგორც აზერბაიჯანის საინფორმაციო სააგენტოები ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს წყაროებზე მითითებით აღნიშნავენ, თავისი მიზნის მისაღწევად ბაქო იწყებს საქართველოს ქვემო ქართლის ოლქის აზერბაიჯანელი მოსახლეობისთვის აზერბაიჯანის მოქალაქის მასობრივ მინიჭებას. პასპორტების გაცემის შემდეგ, წყაროს ცნობით, აზერბაიჯანს გათვალისწინებული აქვს მოსთხოვოს თბილისს მიანიჭოს ოლქს ავტონომიის სტატუსი, უარის შემდეგ კი შეიყვანოს იქ ჯარები.



„საქართველოში თურქი ელემენტების უსაფრთხოების გარანტიაზე საუბრობდა თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ანონიმური წყაროც, რომელმაც გასულ კვირას მოიყვანა ციტატა სტამბოლის „მილიუეითიდან". „სხვადასხვა დონის ფედერაციის" შექმნა არის ერთადერთი გარანტია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის, მიაჩნია თურქ დიპლომატს. აზერბაიჯანის ავტონომიის შექმნის გარდა, ანკარას გათვალისწინებული აქვს მოსთხოვოს თბილისს „დაუბრუნოს რეალური ავტონომია" აჭარას, რომელიც, ფაქტობრივად, ლიკვიდირებული იქნა სააკაშვილის რეჟიმის მიერ 2004 წელს, და მოახდინოს საქართველოში ყველა თურქი მესხის რეპატრიაცია. ასევე მიანიჭოს მათ განსაკუთრებული სტატუსი. ამ უკანასკნელთა დაბრუნება ამჟამად შეფერხებულია იმით, რომ მათგან მოითხოვენ აღიარონ თავი ქართველებად და „აღიდგინონ თავიანთი ქართული გვარები", რაზეც თურქ მესხთა უმრავლესობა თანახმა არ არის.

რამდენად შეიძლება ვენდოთ ასეთი ინფორმაციის ორგანიზებულ გადინებას, თურქეთი ხომ, მაგალითად, არ იქნებოდა წინააღმდეგი გამხდარიყო ევროკავშირის წევრი, ევროკავშირი კი, როგორც ცნობილია, გამოთქვამს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის მხარდაჭერას? აი, რა თქვა ამასთან დაკავშირებით მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელმა ალექსეი ვლასოვმა: „თურქეთი არ წავა რისკზე, აჭარის გულისთვის გასწიროს ევროკავშირში თავისი შესვლის პერსპექტივა. აზერბაიჯანიც არ გარისკავს ქვემო ქართლში მოვლენათა ფორსირებას მანამ, სანამ არ გადაწყდება მთიანი ყარაბაღის საკითხი".

მაშ, რატომ დასჭირდა ანონიმურ წყაროს თბილისის დაშინება?

„მასობრივი ინფორმაციების საშუალებებში წყაროთა გადინების სერიის ორგანიზაციით თურქეთმა და აზერბაიჯანმა შეახსენეს თბილისს, რომ მათ აქვთ ზეგავლენის თავიანთი ბერკეტები, – მიაჩნია ალექსეი ვლასოვს. – აჭარაზე, ქვემო ქართლსა და მესხეთზე გადის თურქეთისთვის, ისევე როგორც აზერბაიჯანისთვის, მათთვის უაღრესად მნიშვნელოვანი კომუნიკაციები, ისეთები, როგორიცაა ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ნავთობსადენი ბაქო-სუფსა. სამხრეთ ოსეთში ომის დაწყებამდე ანკარასა და ბაქოს სააკაშვილის მთავრობა მიაჩნდათ ამ კომუნიკაციების ერთადერთ გარანტად. ახლა უკვე თურქებისა და აზერბაიჯანელებისთვის ნათელი გახდა, რომ აუცილებელია კონტროლი თავად თბილისზე. ამ კონტროლის უზრუნველყოფის ბერკეტები თურქეთისა და აზერბაიჯანისათვის გახდებოდა ავტონომიები და დიასპორები საქართველოს შიგნით", – მიაჩნია რუს ექსპერტს.

ЧАС

ერთობლივი განცხადება

# ოპოზიცია მასმედიის მასობრიობას ითხოვს

(მეექვსე გვერდიდან)

პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიციური პარტიების წევრები არც იმას გამორიცხავენ, რომ მედიის თავისუფლებამ შესაძლოა სხვა, შემდგომი ნაბიჯები გამოიწვიოს, რაც საბოლოოდ ვადამდელ არჩევნებამდე მიგვიყვანს, — ასე ფიქრობს „ხალხის პარტიის" ლიდერი **კობა დავითაშვილი:** „ხელისუფლება გვესაუბრება დემოკრატიის რაღაც ახალ ტალღაზე, ჩვენც მინიმუმს ვითხოვთ. საზოგადოებრიობასთან საუბარს თავისუფალი ტელევიზიის გარეშე ვერ შევძლებთ. ბუნებრივია, თავისუფალი და მართალი სიტყვა განაპირობებს შემდეგ მოვლენებსაც: როცა ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია, ვადამდელი არჩევნები, ყველა ქვეყანაში, მისი განმუხტვის საშუალებად მიიჩნევა".

ნაბიჯ-ნაბიჯ ვადამდელ არჩევნებთან მისვლას ეთანხმება კონსერვატორი **ზვიად ძიძიგური:** „დემოკრატიისკენ პირველი ნაბიჯი, რა თქმა უნდა, გულისხმობს ხელისუფლების მშვიდობიანი და ცივილიზებული გზით შეცვლას. ეს ხელისუფლება არ უნდა მართავდეს ამ ქვეყანას. კიდევ რას მოიმოქმედებენ და რა უბედურებას დაგვატეხავენ თავს, არც ერთმა ჩვენგანმა არ ვიცით და ამ ხელისუფლების არსებობის პირობებში მუდმივად ახალ-ახალ უბედურებას უნდა ველოდოთ. ასე, რომ აუცილებელზე აუცილებელია ნელ-ნელა, ცივილიზებურად ქვეყანაში დემოკრატიის მეტი ხარისხი დავამკვიდროთ და შემდეგ ამას ლოგიკურად მოჰყვება ამ ხელისუფლების დემონტაჟი".

თავისუფალი მედიისათვის შექმნილი ოპოზიციის განცხადებაზე ხელმომწერ ლეიბორისტულ პარტიას თავიდანვე ეჭვი ეპარება, რომ ხელისუფლება მათ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და „ავტორიტარულ რეჟიმზე" ზემოქმედების სხვა საშუალებების გამოყენებასაც განიხილავს.

**ნესტან კირთაძე:** — რასაკვირველია არ გვაქვს ილუზია, რომ ხელისუფლება ჩვენს მოთხოვნებს შეასრულებს. მალე ერთი წელი სრულდება 7 ნოემბრის მოვლენებიდან და ჩვენ კი იგივე პრობლემებზე ვლაპარაკობთ. 7 ნოემბერი არის ინდიკატორი, რომელმაც ამ ხელისუფლების ტერორისტული არსი გაამჟღავნა. ასეთი რეჟიმი კი თავისით არაფერს არ გააკეთებს, საჭიროა დასავლეთის ფაქტორის გაძლიერება და ზეწოლაც, მით უმეტეს, რომ ვემზადებით 7 ნოემბრის აღსანიშნავად. ის დღე ღირსეულად უნდა ჩავატაროთ, რასაც თავისუფალი მედიის გარეშე ვერ შევძლებთ.

ამ მოთხოვნების შესრულებას, მყისიერად შეიძლება, დიდი დრო არ სჭირდება, საჭიროა მხოლოდ პოლიტიკური ნება.

**— თუმცა, პოლიტიკური თოქშოუების არსებობის აუცილებლობაზე პრეზიდენტი და ხელისუფლების წარმომადგენლებიც საუბრობენ...**

— მიხეილ სააკაშვილი, ასეთი განცხადებებით, 2003 წლის 22 ნოემბრიდან სახელმწიფო გადატრიალებით მოვიდა სათავეში და შეცვალა საქართველოს ბედი, მისი ტერიტორიული მთლიანობა დაარღვია და ასეთი ადამიანი რას ამბობს, არ არის მთავარი. მთავარია, რა გააკეთა. ფაქტია, რომ დღეს არ არსებობს თავისუფალი ტელესივრცე. თუმცა, მთლიანად ბეჭდვით მედიაზე ეს არ ითქმის. მივესალმები თქვენს გაზეთს, რომელიც მართლაც გმირულ პირობებში ახერხებს მართალი სიტყვის მიწოდებას საზოგადოებრიობისთვის. აგვისტოს მოვლენების დროს „საქართველოს რესპუბლიკა" ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც ობიექტურად აშუქებდა მოვლენებს და დასავლეთიც ხშირად იმოწმებს თქვენი გაზეთის სტატიებს.

**— თქვენი მოთხოვნების შეუსრულებლობა ოპოზიციის ქუჩაში გამოსვლის მიზეზი ხომ არ გახდება?**

— ქუჩაში გამოსასვლელად დღეს ძალიან ბევრი მიზეზი არსებობს. ქუჩაში გამოსვლა საქართველოს ღირსების საქმეა. ამ ხელისუფლებამ შეცვალა ქვეყნის პოლიტიკური რუკა, ამ ხელისუფლებამ ათასობით ადამიანის ბედი შეცვალა და ხელის ორივე მტევანი არ ეყოფა ქუჩაში გამოსასვლელი მიზეზების ჩამოთვლას. ჩემი პირადი ანალიზითა და შეხედულებით, ეს სააკაშვილის რეჟიმის ბოლო პოლიტიკური შემოდგომაა.

პოლიტიკური ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა თავისუფალი მედიის მოთხოვნები საზოგადოებრიობას და ხელისუფლებას სიმბოლურად საზოგადოებრივი მაუწყებლის ეზოში გააცნეს.

**თამარ ბუზალაძე**

მიმართვა

# ძალიან გვინდა ამჯერად მაინც არ დავრჩეთ იმედგაცრუებულები

## ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს

ბატონო პრეზიდენტო! მოგმართავთ 1998 წლის 9 თებერვალს ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული თავდასხმის საქმეზე მსჯავრდებული პატიმრები.

დღეს, როდესაც ჩვენს სამშობლოს მძიმე დღეები უდგას, როდესაც საქართველოს ყველანაირი ფორმითა და მეთოდით უტევენ, იქნებ ვინმემ იფიქროს, რა დროს ასეთი შინაარსის წე-



რილის წერა და სახელმწიფოსთვის უმნიშვნელო საკითხის წამოწევააო (ვსარგებლობთ ამ შემთხვევით და ვუსამძიმრებთ ყველა დაღუპულის ოჯახს, ახლობლებს, გამოვხატავთ დიდ წუხილს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ვერაგული აგრესიის გამო).

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს აგრესია რუსეთის იმპერიულ ზრახვებთან ერთად ე. შევარდნაძის გამყიდველური პოლიტიკის შედეგია. ჩვენც ამ პოლიტიკის მსხვერპლნი ვართ და ამიტომ, ვფიქრობთ, გვაქვს მორალური უფლება, ქვეყნისათვის თუნდაც ასეთი ძნელბედობის ჟამს ბატონ პრეზიდენტსა და საზოგადოებას შევახსენოთ ჩვენი პრობლემა, მით უმეტეს, მისი გამომწვევი მიზეზები უკავშირდება. სწორედ სახელმწიფოებრივ და არა პირადულ მიზნებს. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ზოგადად ადამიანი არც ისე ხანგრძლივი დროითაა მოვლენილი ამ წუთისოფელში, რომ მან უარი თქვას თუნდაც ორი დღის თავისუფლებაზე.

ბატონო პრეზიდენტო! ეს არ არის ჩვენი პირველი მიმართვა თქვენდამი 2004 წლის 26 იანვრის შემდეგ, როდესაც ხელი მოაწერეთ საქვეყნოდ, ხმამაღლა გახმიანებულ ეროვნული თანხმობის დეკლარაციას. ამ დეკლარაციას რეალურად მოჰყვა მხოლოდ ლოთი ქობალიას განთავისუფლება და 1998 წლის 9 თებერვლის საქმეზე ძებნილებზე საქმის შეწყვეტა, და ეს მაშინ, როცა მათ მიმართაც სისხლის სამართლის კოდექსის ზუსტად იგივე მუხლებით აღიძრა საქმე, რაზედაც ჩვენ ვიხდით სასჯელს. ალბათ ძნელია რომელიმე ქვეყნის სამართალწარმოების პრაქტიკაში იმის პრეცედენტის მოძიება, რომ ერთი და იგივე სისხლის სამართლის საქმის მონაწილეთა ორ მესამედს იწყალებდნენ, ხოლო დარჩენილ ერთ მესამედს სასჯელს ახდევინებდნენ.

წინა მიმართვებსა და სხვადასხვა განცხადებაში უფრო ვრცლად ვაცხადებდით ჩვენი ქმედების მიზეზებს, ამიტომ ამჯერად მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ქმედების და 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" მიზანი ერთი და იგივე იყო — ე.შევარდნაძის ჩამოშორება პოლიტიკური ასპარეზიდან. ერთმანეთისგან მხოლოდ განხორციელების მეთოდები განსხვავდებოდა. ჩვენ მივმართეთ იმ მეთოდს, რასაც ჩვენი საშუალება სწვდებოდა, თქვენ კი ეს მიზანი უსისხლოდ განახორციელეთ. იბადება კითხვა: თუ ჩვენ გვქონდა მიზნისა და იდეის თანხვედრა, რომ ქვეყანა ამოსულიყო უმძიმესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობიდან, რაც ე.შევარდნაძის „მოღვაწეობის" შედეგი იყო, მაშინ რატომ ვართ „ვარდების რევოლუციის" ხუთი წლის თავზეც კვლავაც საპყრობილეში გამოკეტილები? სხვათა შორის, გვინდა გითხრათ, რომ ამდენი იმედგაცრუების მიუხედავად, რუსეთის ჯარების შემოჭრისთანავე განვაცხადეთ ჩვენი ქვეყნის დასაცავად ბრძოლის სურვილი, მაგრამ ამ სურვილს ვინ დააკმაყოფილებდა, როცა ერთ-ერთ მუხლად სახელმწიფოს ღალატი გვედება ბრალად.

თქვენ მრავალჯერ ყოფილხართ სამეგრელოში და მრავალჯერ შეხვედით ადგილობრივ და აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას, ესაუბრებოდით მათ ერის კონსოლიდაციის საკითხებზეც. ეს ხომ ის ხალხია, რომელმაც თავის თავზე იწვნია ომისა და სამოქალაქო დაპირისპირების უმძიმესი შედეგები. ჩვენც იმ ხალხის შვილები ვართ — სამეგრელოდან და აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან. მივმართავთ ყველას — საზოგადოებრიობის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს, ყოფილ პოლიტპატიმრებს, თანამებრძოლებს, ვისთვისაც ფასეულია ცნებები — სამშობლო და თავისუფლება — მკაფიოდ, ობიექტურად და მიუკერძოებლად თქვან, რამდენად საშიში ვიქნებით საზოგადოებისთვის განთავისუფლების შემთხვევაში.

როგორც მოგეხსენებათ, ერთ-ერთი და მთავარი მუხლით მსჯავრდებული ვართ ტერორიზმის მცდელობაში. ჩვენ ტერორისტები არ ვართ, აი, რას აღნიშნავს სახელმწიფო ბრალმდებელი თავის ბრალდებაში: „დანაშაულებრივი ქმედება მოიცავდა ტერორისტული აქტის ჩადენას მხოლოდ ე.შევარდნაძის მიმართ და ისინი მიზნად არ ისახავდნენ ტერორისტული ორგანიზაციის შექმნას ამგვარი დანაშაულობების ჩადენისათვის". ასე რომ, ჩვენ არ განვეკუთვნებით არც რომელიმე ტერორისტულ ორგანიზაციას და არც ვინმესთვის საშიშს. ჩვენი ქმედება მიმართული იყო მხოლოდ ე.შევარდნაძის წინააღმდეგ, როგორც სამოქალაქო დაპირისპირების სულისჩამდგმელისა, რომლის საქმიანობის მწარე შედეგებს დღესაც იმკის საქართველო. ვიმეორებთ ჩვენ არ ვართ საზოგადოებისთვის საშიშნი, რადგანაც მიზანი — ე.შევარდნაძის ჩამოშორება, რასაც ჩვენ ვემსახურებოდით, ქართველმა ხალხმა მშვიდობიანი გზით განახორციელა.

თქვენ ხშირად მოუწოდებთ ხალხს, საზოგადოებრიობას ერთიანობისა და კონსოლიდაციისაკენ, მაგრამ არა გვგონია, ამას ხელს უწყობდეს ჩვენი და ჩვენი ოჯახების, საზოგადოების წარმომადგენლების არაერთი თხოვნის უგულებელყოფა ჩვენი განთავისუფლების შესახებ, რომლის გადაწყვეტის კონსტიტუციური უფლება თქვენ გაქვთ. თქვენი მმართველობის თითქმის ხუთი წლის განმავლობაში ამ მხრივ მრავალი იმედგაცრუება ვიწვნიეთ.

გულახდილად ვიტყვით: არ ვაპირებდით ამ წერილის გამოქვეყნებას, რომ არა ტელევიზიით გადაცემული თქვენი მიმართვა საზოგადოებისადმი 12 აგვისტოს მიტინგზე, სადაც განაცხადეთ: „მზად ვარ, ყველას ყველაფერი ვაპატიო და შევუნდო". ძალიან გვინდა ამჯერად მაინც არ დავრჩეთ იმედგაცრუებულები და თქვენი მოზღვავებული ტოლერანტობის შედეგი რეალურად ვიხილოთ.

**პატივისცემით,**
**1998 წლის 9 თებერვლის საქმეზე მსჯავრდებულები:**

**საშა ზაქარაია,**
**ნუგზარ ჩუხუა,**
**ბონდო თოდუა,**
**ზურაბ ეჯიბია,**
**გერონტი ქობალია**

ინფორმაცია

### შეიარაღებული ძალების დებულებაში ცვლილებებია

**საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის დებულებაში, პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, ცვლილებები შევიდა.**

კერძოდ, დებულების მეოთხე მუხლის პირველი პუნქტიდან, რომელიც შტაბის ხელმძღვანელის უფლებამოსილებას განსაზღვრავს, ამოღებულია „მ" ქვეპუნქტი, რაც გულისხმობს, რომ გაერთიანებული შტაბის უფროსი საზღვარგარეთ სამხედრო წარმომადგენლობებს აღარ უხელმძღვანელებს.

ცვლილებები შევიდა დებულების მეხუთე მუხლშიც, რომელიც გაერთიანებული შტაბის სტრუქტურული ქვედანაყოფების სტატუსსა და ძირითად ამოცანებს არეგულირებს — სტრტუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალიდან ამოღებულია თავდაცვის ატაშეებისა და ნატოსთან სამხედრო წარმომადგენლობის ოფისი. ამავე მუხლის მეორე პუნქტიდან, სადაც გაერთიანებული შტაბის სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციებია განსაზღვრული, ამოღებულია "მ" ქვეპუნქტი, რომელშიც მითითებული იყო, რომ თავდაცვის ატაშეებისა და ნატოსთან სამხედრო წარმომადგენლობის ოფისი ახორციელებს საერთაშორისო სამხედრო ურთიერთობებს.

პრეზიდენტის ბრძანებულება 30 სექტემბრით არის დათარიღებული.

### ვაშაძემ სანდალის მადლობა გადაუხადა

**საქართველოს** საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგოლ ვაშაძე იტალიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ვიტორიო სანდალის შეხვდა.

საგარეო პოლიტიკური უწყების ინფორმაციით, შეხვედრაზე ჟენევაში 15 ოქტომბრისთვის დაგეგმილ საერთაშორისო მოლაპარაკებებთან დაკავშირებული პრობლემატიკა განიხილეს.

ქართულმა მხარემ მადლობა გადაუხადა იტალიას საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობაში შეტანილი წვლილისა და საქართველოსთვის გაწეული სხვადასხვა სახის ჰუმანიტარული დახმარებისთვის.

ინტერპრესნიუსი

◎ საბრძოლო ხელოვნება

# „ოქროს კარატისტის“ მორიგი ოქრო



**ბუქარესტში სამ დღეს გრძელდებოდა WSKF-ის (მსოფლიო შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის) ვერსიით გამართული ევროპის ჩემპიონატი შოტუ-იპონსა და ჯუ-კუმიტეში. საქართველოს საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის კახა ბასილიას ხელმძღვანელობით რუმინეთის დედაქალაქში გ ამართულ შეჯიბრებაში ხუთი სპორტსმენი მონაწილეობდა.**

ჯუ-კუმიტეში (ორთაბრძოლა გრძელდება 3 წუთს სრული კონტაქტით) ყველაზე უკეთ ლევან გორელაშვილი გამოვიდა. მან ზედიზედ სძლია შვიდ მეტოქეს, მათ შორის – ფინალში რუსეთის სახელით მოასპარეზე ლევან ძობალიას და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

შეგახსენებთ, რომ 20 წლის ლევან გორელაშვილი, 12 წელიწადია, ტატამზე იბრძვის. მის სპორტულ კოლექციას მრავალი ჯილდო ამშვენებს: საქართველოს საუკეთესო კარატისტთა შორის ორგზის „ოქროს კარატისტი“ მსოფლიო თასის მფლობელი, სამგზის მსოფლიო ჩემპიონი და პრიზიორია. ოთხჯერ ევროპის პირველობებზე აჯობა ყველას, ათ-ათჯერ საქართველოს ჩემპიონატებსა და საერთაშორისო ტურნირებზე გაიმარჯვა. მსოფლიო და ევროპის მაქაბიადების პრიზიორმა 36-ჯერ რეგიონულ და საკლუბო ტურნირებში მიაღწია წარმატებას. სახელოვანმა ახალგაზრდა სპორტსმენმა ამჯერადაც გვასახელა.

შოტუ-იპონში (75 კილომდე) მესამე ადგილზე გავიდა ირაკლი ტყებუჩავა, რომელიც მხოლოდ ნახევარფინალში დამარცხდა შვეიცარიელ სპორტსმენთან.

ვეტერანთა შორის ასევე, „ბრინჯაოს“ დასჯერდა შოტუ-იპონში ნოდარ ხაჯიშვილი.

ოქტომბრის მიწურულს საქართველოს ახალგაზრდა კარატისტები ბრატისლავაში (სლოვაკეთი) WKF-ის (მსოფლიო კარატეს ფედერაციის) ვერსიით ოცწლიანთა მსოფლიო პირველობაზე იასპარეზებენ, ნოემბერში კი ამერიკის ღია ჩემპიონატზე გამოვლენ, რომელსაც ლოსანჯელესი უმასპინძლებს.

გიორგი გაგუა

◎ ფეხბურთი

# ესეც ჯგუფები

**ტურნირის პრესტიჟის ამაღლების მიზნით ამიერიდან უეფას თასის გათამაშება ახალი სისტემით მოეწყობა.** ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის პრეზიდენტის მიშელ პლატინის ინიციატივით აღნიშნული ასპარეზობის ფორმატი მაქსიმალურად დაემსგავსა ჩემპიონთა ლიგის რეგლამენტს, რამაც გულშემატკივართა ინტერესი საგრძნობლად უნდა გაზარდოს. გაუწყებთ ჯგუფური რაუნდის კენჭისყრის სრულ შედეგებს.

„ა“ ჯგუფი. „შალკე“, „პარი სენ-ჟერმენი“, „მანჩესტერ სიტი“, „რასინგი“, „ტვენტე“.

„ბ“ ჯგუფი. „ბენფიკა“, „ოლიმპიაკოსი“, „გალათასარაი“, „ჰერტა“, „მეტალისტი“.

„გ“ ჯგუფი. „სევილია“, „შტუტგარტი“, „სამპდორია“, „პარტიზანი“, „სტანდარდი“.

„დ“ ჯგუფი. „ტოტენჰემი“, „სპარტაკი“, „უდინეზე“, „დინამო“ (ზაგრებიდან), „ნაიმეგენი“.

„ე“ ჯგუფი. „მილანი“, „ჰერენვენი“, „ბრაგა“, „პორტსმუთი“, „ვოლფსბურგი“.

„ვ“ ჯგუფი. „ჰამბურგი“, „აიაქსი“, „სლავია“, „ასტონ ვილა“, „ჟილინა“.

„ზ“ ჯგუფი. „ვალენსია“, „ბრიუგე“, „რუსენბორგი“, „კოპენჰაგენი“, „სენტ ეტიენი“.

„თ“ ჯგუფი. ცსკა, „დეპორტივო“, „ფეიენოორდი“, „ნანსი“, „ლეხი“.

პირველი ტურის შეხვედრები 23 ოქტომბერს გაიმართება.

◎ კალათბურთი

# სეზონის ზღურბლთან



**ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (NBA) რეგულარული სეზონის დაწყებამდე ორიოდე კვირით ადრე კლუბები ე.წ. საგამოფენო მატჩებში ჩაებნენ. გამონაკლისს არც ზაზა ფაჩულიას გუნდი „ატლანტა ჰოუქსი“ წარმოადგენს, რომელმაც სასტარტო შეხვედრა ჩვენი თანამემამულის ყოფილ პარტნიორებთან – „ორლანდო მეჯიქთან“ სტუმრად გამართა და 118:101 მოიგო.**

„ჯვაროსანთა“ კაპიტანმა სარბიელზე გატარებულ 19 წუთში 11 ქულა, 6 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა, რაც, დაგვეთანხმებით, კარგ მონაგრად უნდა ჩაითვალოს.

ქართველმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა 5-დან 3 ორქულიანი ჩააგდო და ხუთივე საჯარიმო ზუსტად ტყორცნა.

◎ სამბო

# ტაშკენტი მასპინძლობს

**წლეულს ბრესტში სამბისტთა ევროპის პირველობაზე საქართველოს წარმომადგენლებმა 14 მედალი მოიპოვეს, მათ შორის ოთხი – ოქროსი.** ხვალიდან კი ჩვენი ჭაბუკები და ახალგაზრდები უზბეკეთის დედაქალაქში მსოფლიო პირველობაზე იასპარეზებენ. გუნდი ტაშკენტში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: **ჭაბუკები.** გენადი ჩირგაძე (52 კგ. ქუთაისიძ, თორნიკე მამულაშვილი (56, დუშეთიძ, ზვიად ტაბატაძე (60, ქარელიძ, გიორგი კაპანაძე (65, გორიძ, გიორგი ჩიტაშვილი (70, თბილისიძ, ნოდარ კუდუხაშვილი (75, გორიძ, იაგო მესტვირიშვილი (81, საგარეჯოძ, ბექარ ნემსაძე (87, ქუთაისიძ, შავლეგო ბერუაშვილი (მძიმე წონა, ქარელიძ, **ახალგაზრდები.** გიორგი გეჯაძე (48, კასპიძ, თამაზ ნოზაძე (52, ხაშურიძ, ილია ტყეშელაშვილი (57, ქუთაისიძ, წუკრი პავლიაშვილი (62, მცხეთაძ, ლევან ნახუცრიშვილი (68, თბილისიძ, ივანე ბერიძე (74, ფოთიძ, ნიკო კუცია (82, ფოთი), დავით კარბელაშვილი (90, გორიძ, მალხაზ ნიჟარაძე (100, ქუთაისიძ, დავით ბოჭორიშვილი (მძიმე წონა, ქუთაისიძ, **მწვრთნელები** – ბადრი ჯანიაშვილი, ემილ რაში და გია ჩიტაშვილი.

* * *



**საქართველოს ეროვნული ნაკრები (მთავარი მწვრთნელი ოლეგ იაძე) მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად 12 ოქტომბრიდან ბაკურიანში ორკვიან საწვრთნელ შეკრებას დაიწყებს.** 1994-1995 წლებში დაბადებული სამბისტებისთვის კი „მართვეს“ სპორტკომპლექსში საქართველოს პირველობა გაიმართა. შეჯიბრებაში სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 122 წარმომადგენელი ჩაება. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: გიორგი კვირიკაშვილი (წყალტუბოძ, ვანო გაჩეჩილაძე (ზესტაფონიძ, შალვა ქურდოვანიძე (საგარეჯოძ, ოთარ გაბუნია (ვანიძ, ჯაბა შაყულაშვილი (მცხეთაძ, მალხაზ მუზაშვილი (ზესტაფონიძ, მურად ყურბანოვი (ბოლნისიძ, ვანო გოგიაშვილი (გორიძ, შმაგი სარაული (გორიძ, ოთარ ტყეშელაშვილი (ვანიძ, გიორგი ხაჩიური (გორიძ, შოთა ჯაფარიძე (თბილისიძ, გიგა კობიაშვილი (თელავიძ.

◎ ფარიკაობა

# ევროპის პირველობისთვის ემზადებიან



**ჰოლანდიის ქალაქი ამსტერდამი ნოემბერში ჭაბუკ მოფარიკავეთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადებიან ქართველი მუშკეტერებიც, რომლებმაც ამას წინათ საქართველოს პირველობაზე იასპარეზეს.**

გაუწყებთ გამარჯვებულთა ვინაობას: **რაპირა.** რუსუდან ქვანია და სანდრო სიხარულიძე. **ხმალი.** თათია აფციაური (სამივე – თბილისიძ და ბექა ბაზაძე. **დაშნა.** თეონა ბენიძე (ორივე – ქუთაისიძ და დავით ელბაქიძე (თბილისიძ.



◎ ინტერნეტიდან

## ევერესტი ციდან დაიპყრეს!

**ეს ჩვენი პლანეტის უმაღლესი მწვერვალის – ევერესტის (8846 მეტრი ზღვის დონიდან) დაპყრობის უნიკალური შემთხვევა იყო. სამმა სპორტსმენმა დიდი ბრიტანეთიდან, ახალი ზელანდიიდან და კანადიდან სარეკორდო ნახტომი შეასრულა თვითმფრინავიდან.** 9400 მეტრზე რომ გადაუფრინეს მწვერვალს, მამაცი სპორტსმენები ერთხანს თავისუფალი ვარდნით მოექანებოდნენ ევერესტისაკენ, შემდეგ პარაშუტები გაშალეს და ისე დაეშვნენ ალპინისტთა ერთ-ერთ ბაზაზე – 3500 მეტრზე. ნახტომისთვის გამოიყენეს სპეციალური პარაშუტები, რომლის პარამეტრები ჩვეულებრივზე სამჯერ დიდი იყო. „საჰაერო მთამსვლელებს“ ჟანგბადის ნიღბები ეკეთათ და ყინვაგამძლე კომბინეზონები ეცვათ.

ამ პროექტში მონაწილეობა თითოეულ სპორტსმენს 24 ათასი დოლარი დაუჯდა. როგორც 29 წლის ინგლისელმა ქალბატონმა ჰოლი ბაჯმა თქვა, ის, რაც აღნიშნული ნახტომის დროს განიცადა, ნამდვილად ღირდა ასეთ ფასად. ამ გაბედული პარაშუტისტისთვის ხომ ეს 2500-ე „საჰაერო ჩაყვინთვაა“. განხორციელებული აქციით მას უნდოდა ფულის შოვნა საქველმოქმედო მიზნით.

## ფედერერმა ჩოგბურთი „დაივიწყა“



**ბოლო დროს მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო ჩოგბურთელმა, შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა, სტოკჰოლმის ტურნირიდან რომ მოიხსნა, დროებით უარი თქვა საკუთარ პროფესიაზე და თავის სატრფოსთან მიროსლავა ვავრინეცთან ერთად დუბაის მიაშურა.**

ამ წყვილმა რამდენიმე საიუველირო სალონი მოინახულა, გულდასმით შეისწავლა იქაური ასორტიმენტი და არჩევანი ბრილიანტიან ბეჭდებზე და სამაჯურებზე შეაჩერა.

როგორც ერთმა გამყიდველმა ქალმა თქვა, ფედერერი განსაკუთრებით დაინტერესდა ბეჭდით, რომელსაც 60-კარატიანი ბრილიანტის თვალი ჰქონდა.

ფედერერი შესვენებას, ალბათ, 13 ოქტომბერს შეწყვეტს, როდესაც მადრიდში დაიწყება დიდი ტურნირი „მასტერს“.

## დიდი ორთაბრძოლის წინ



**კრივის მოყვარულებმა იციან, რომ 11 ოქტომბერს უნდა გაიმართოს უკრაინელი ვიტალი კლიჩკოსა და ნიგერიელი სემ პიტერის ორთაბრძოლა WBC ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის. ამასთან დაკავშირებით ბერლინში გაიმართა ამ დიდი ასპარეზობისწინა პრესკონფერენცია.**

ერთი დასამახსოვრებელი ფაქტი მოხდა ჩემპიონის ქამრის ერთობლივი ფოტოსესიის დროს. მას შემდეგ, რაც ფოტოგრაფებმა დაამთავრეს გადაღება, პიტერი მოულოდნელად მოიღუშა და ქამარი კლიჩკოს უხეშად გამოსტაცა ხელიდან, რის საპასუხოდაც უკრაინელმა „დამაწყნარებელი“ სიტყვებით შეამკო მომავალი მეტოქე.

როგორც IRF და WBO ვერსიებით მსოფლიო ჩემპიონმა ვლადიმერ კლიჩკომ განაცხადა, მისი ძმა შაბათს ნოკაუტში გააგზავნის მეტოქეს, რაც საშუალებას მისცემს ძმებ კლიჩკოებს ხელში იგდონ მოკრივეთა პრესტიჟული სამივე ვერსიის ჩემპიონთა ქამრები მძიმე წონაში. ეს ხომ მათი ოცნებაა!

## გული აჩუქა

**თუმცა, შეიძლება, შეგვედავონ, გული კი არა, მკერდიო. ასეა თუ ისე, თავისი 26-ე დაბადების დღე დიდი ზეიმით აღნიშნა ინგლისის ნაკრებისა და „პორტსმუთის“ თავდამსხმელმა ჯერმეინ დეფომ. მის წვეულებას ესწრებოდა ბევრი ფეხბურთელი და გამოჩენილი პიროვნება.**

საღამოს ვარსკვლავი იყო დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მიმზიდველი ფოტომოდელი ჯუდი მარში. ის მონაწილეობდა პრაქტიკულად ყველა კონკურსსა და ატრაქციონში, მაგრამ ყველაზე საინტერესო თავად მოიგონა.



ლამაზმანმა ჯერ სცადა სტუმრებიდან ყველაზე მელოტისთვის თავზე პრეზერვატივი ჩამოეცვა. ყველა კმაყოფილი იყო. განსაკუთრებით ის, ვინც საჩუქრად ეს „ხელსაწყო“ მიიღო. შემდეგ მან სხვა სტუმრებთან ერთად წარმოადგინა ეპიზოდები „კამა სუტრადან“, ბოლოსთვის კი განსაკუთრებით „ტკბილი“ რამ შემოინახა – ყველას თავისი ულამაზესი შიშველი მკერდი დაანახვა.

ამაზე უკეთეს საჩუქარს არავინ ელოდა.

**ვარაუდი**

# ემუქრება თუ არა ენგურჰესს ოკუპაცია?

**ზამთრის მოახლოებასთან ერთად კვლავ გააქტიურდა საუბრები მოსალოდნელი ენერგოკრიზისის თაობაზე.**

თუმცა, ამჯერად ეს „შიშნეულობა" გარკვეულწილად სხვა ხასიათისაა, ვიდრე 90-იანი წლების შუა ხანებისათვის, როდესაც ჯაბა იოსელიანმა იხუმრა ერთხელ ოქტომბრის დამდეგს: „ყველა, ვინც ამ ზამთარს ცოცხლები გადავრჩებით და არ გავიყინებით – მომავალ გაზაფხულზე შევხვდეთ და სურათი გადავიღოთო".

ამჟამად კი საუბარია არა „სახსრების ნაკლებობაზე" და მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობაზე (ამ პრობლემას შევარდნაძის ეპოქაში „კორუფცია" ეწოდებოდა, რაც ყველასათვის ხელსაყრელი, თუმცა არც თუ ზუსტი განსაზღვრება იყო), არამედ იმის შესახებ, რომ რუსეთმა შეიძლება გამოიყენოს ენერგეტიკული ბერკეტები, მათ შორის, რა თქმა უნდა, ენგურჰესიც – ჩვენი ქვეყნის დასასჯელად, 24-საათიან ელექტროენერგიას მიჩვეული მოსახლეობის (ადამიანი კომფორტს იოლად ეჩვევა) უკმაყოფილების გამოსაწვევად და, მთლიანობაში, ვითარების დასაძაბად.

„ენგურჰესი" ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტია კავკასიაში; ენერგეტიკულიის მხრივ კი, – მთელს რეგიონში, ახლო აღმოსავლეთის ჩათვლით. საინჟინრო თვალსაზრისით იგი მართლაც უნიკალური ნაგებობაა, ხოლო საქართველოს ელექტრომომარაგების კუთხით მას არავითარი ალტერნატივა არ აქვს და სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მის გარეშე ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკა კოლაფსის მდგომარეობაში აღმოჩნდება.

1993 წელს, აფხაზურმა ფორმირებებმა უპრობლემოდ, ერთი გასროლის გარეშე დაიკავეს საბერიო, სადაც ენგურჰესის სამართავი პულტია განლაგებული. აქვე უნდა ითქვას, რომ თვით ენგურჰესის სიმძლავრენი გადანაწილებულია საკუთრივ საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებზე: ენგურჰესის კაშხალი მდებარეობს წალენჯიხის რაიონში, ხოლო ვარდნილ-ჰესები და სამართავი პულტი, – გალის რაიონის სოფელ საბერიოში.

ტექნიკური თვალსაზრისით, აფხაზებსა და რუსებს თითქოს არაფერი უშლით ხელს, მთელ საქართველოს შეუწყვიტონ ელექტროენერგიის მიწოდება და იგი რუსეთში გაყიდონ. ენგურჰესი 5 მილიარდ კილოვატ-საათზე მეტ სიმძლავრეს გამოიმუშავებს, რაც მთელი სამხრეთ რუსეთის ელექტრომომარაგების თვალსაზრისითაც კი სერიოზული ფაქტორი იქნებოდა.

მაგრამ საქმეც სწორედ ისაა, რომ რაკი წყალსაცავი წალენჯიხის რაიონშია, ქართულ მხარეს, ბოლო დრომდე ჰქონდა საშუალება, აუცილებლობის შემთხვევაში „დაეცალა" ენგურის კაშხალი, გაეშვა წყალი მდინარის ძველ კალაპოტში და, ასეთ შემთხვევაში, ეს სიმდიდრე ორივე (სამივე) მხარეს ხელიდან გამოეცლებოდა.

2004 წელს, ერთ-ერთი გამწვავების დროს, საქართველოს მთავრობაში ჰიპოთეტურად, თეორიულ დონეზე იმსჯელეს კიდეც ამგვარ ალბათობაზე და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ენგურის კაშხლის „დროებით დაცლა" შეუძლებელია; – თუ დაიცლება, მაღალი ალბათობით დაიცლება ერთხელ და სამუდამოდ! ანუ სისტემის ხელახლა ამოქმედება შემდგომ ველარც მოხერხდება;

აქედან გამომდინარე, 90-იანი წლებიდან დაწყებული, ქართველები და აფხაზები ენგურჰესის ენერგიას იყოფდნენ პროპორციით 60-40-თან. 8 აგვისტოს დაწყებული რუსული აგრესიის დროს აქტიურად საუბრობდნენ იმაზე, რომ ოკუპანტებმა დაიკავეს კაშხალი და ამით საქართველოს უკანასკნელი ბერკეტიც წაართვეს.

მაგრამ ეს ინფორმაცია „ჯი-ეიჩ-ენ"-თან საუბარში კატეგორიულად უარყო ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ალექსანდრე ლომაიამ. მისი თქმით, „პირველ დღეებში ოკუპანტებმა მართლაც სცადეს მიახლოვებოდნენ კაშხალს, მაგრამ ეს ცდა მალევე შეწყდა. კაშხალს მთლიანად ქართული მხარე აკონტროლებს". აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თემურ მჟავიამ „ჯი-ეიჩ-ენ"-ს განუცხადა: „ენგურჰესის სისტემა იმდენად მთლიანი და განუყოფელია, რომ მხოლოდ ერთობლივად შეიძლება მისი ექსპლოატირება ქართული და აფხაზური მხარის მიერ. რომც წარმოვიდგინოთ სიტუაცია, რომ აფხაზურმა და რუსულმა მხარეებმა შეგვიწყვიტონ ელექტროენერგიის მოწოდება საბერიოდან, სადაც სამართავი პულტი მდებარეობს, ეს იქნება პირდაპირ ენერგეტიკული ომი საქართველოს წინააღმდეგ და სანამ კაშხლიდან წყლის გაშვებაზე ვიფიქრებდეთ, საერთაშორისო საზოგადოებას მივმართავთ ამის თაობაზე. საეჭვოა ეს გაბედონ, ანუ კაშხლის მუშაობის შეჩერებაზეც არ მიდგება საქმე."



რაც შეეხება ხმებს იმის თაობაზე, რომ რუსული „რაო ეეს"-ი და ანატოლი ჩუბაისი აპირებენ ხელთ იგდონ ენგურჰესი, რათა გაუქვირონ საქართველოს ელექტროენერგია, თემურ მჟავია თვლის, რომ „რაკი აფხაზეთში ყველაფერს რუსული სპეცსამსახურები აკონტროლებენ, რა თქმა უნდა, აფხაზები ხელს მოაწერენ ნებისმიერ ქაღალდს, რომელსაც მოსკოვი დაუდებთ წინ. მათ შორის ენგურჰესის – ჩუბაისის კომპანიისათვის გადაფორმების შესახებ, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ქართული მხარის მონაწილეობის გარეშე ჩუბაისი ენგურჰესის ექსპლოატირებას ვერ შეძლებს და ეს თავადაც კარგად უწყის".

ინფორმაცია ჩუბაისის დაინტერესების შესახებ დაადასტურა ცნობილმა ენერგეტიკოსმა გოგი გულუამ, რომელმაც განგვიცხადა, რომ რამდენიმე წლის წინათ ანატოლი ჩუბაისი გეგმავდა ვარდნილჰესთა და სოხუმჰესის რეაბილიტაციისათვის მსოფლიო ბანკის კრედიტის მიზიდვას, მაგრამ ეს პროექტი ვერ განხორციელდა, რაკი უცხოური ორგანიზაციები საქმეში არც ერთ ცენტს არ დებენ საქართველოს ხელისუფლების თანხმობის გარეშე.

ამრიგად, განურჩევლად პირადად ანატოლი ჩუბაისის სურვილისა, რუსული „რაო" რეალურად ვერ შეძლებს ენგურჰესის შესყიდვას, ანუ არა მხოლოდ ქაღალდზე გაფორმებას, არამედ ჰიდროელექტროსადგურის რეალურ ექსპლუატაციას.

ხოლო საქართველოს ხელისუფლება არც კი განიხილავს შპს „ენგურჰესში" 100-პროცენტიანი სახელმწიფო წილის გაყიდვის საკითხს.

გარდა ამისა, გოგი გულუას თქმით, არის კიდევ ერთი მომენტი, რომელიც ენგურჰესის სტაბილურ ფუნქციონირებას განაპირობებს და ანატოლი ჩუბაისის შესაძლო გეგმებს შლის: ამჟამად სოფელ საბერიოში, სადაც „ჰესის" სამართავი პულტი მდებარეობს, ძირითადად ქართველი სპეციალისტები მუშაობენ. თვით ყველაზე მწვავე პერიოდებშიც კი, აფხაზურ მხარეს მათთვის „უბატონოდ ხმა არ გაუცია" და ამჟამადაც აქვთ საშუალება, მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილდნენ.

აფხაზურ მხარეს არასდროს უცდია რუსეთიდან შემოეყვანა ენერგეტიკოსები და ქართველები ჩაენაცვლებინა, ვინაიდან, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ქართველებს უფრო ენდობა და აქვს გარანტია, რომ ვითარების გაკონტროლებას ასე უფრო შეძლებს.

აფხაზეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში 90-იან წლებში აფხაზურ ენერგოკომპანია „ჩერნომორენერგოს" ხელმძღვანელობდა და ძალიან კარგად იცნობს პრობლემის არსს; სწორედ მისი ბრძანებით, ენგურის „საზღვარზე" კვლავ მოქმედებს ერთადერთი ლეგალური საშვი - ენგურჰესზე მომუშავე ქართველებისათვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბედნიეროდ, თვით ბუნებისა და გეოგრაფიის წყალობით, ვერც ანატოლი ჩუბაისი და ვერც რუსი გენერლები ენგურჰესის დასაკუთრებასა და საქართველოს წინააღმდეგ მის გამოყენებას ვერ შეძლებენ.

აქვე უნდა ითქვას: სულ სხვა ვითარება იქნებოდა, 90-იან წლებში საქართველოს ხელისუფლებას ანატოლი ჩუბაისის დაპირებები რომ ელო ყურად და ნებისმიერ ფასად ენგურჰესი მისთვის მიეყიდა – ახლა კაშხალზე რუსი სამხედროები იდგებოდნენ სავსებით „ლეგალურად" და მათ პრეტენზიებს მსოფლიოც კანონიერად სცნობდა.

„ტექნიკური გაუმართაობის" საბაბით ელექტროენერგიის შეწყვეტას და „საბაზრო ფასების დაწესებით" მხოლოდ საქართველოსთვის ტარიფის მომატებას წინ ველარაფერი დაუდგებოდა.

**ნიკა ვაშაკიძე,**
**ჯი-ეიჩ-ენი**

**აგვისტოს შემდეგ**

**წაგებული ომის შემდეგ მოსამსახურეებზე, განსაკუთრებით ოფიცრებზე ნამდვილი ნადირობა დაიწყო. როგორც ბრძოლებგამოვლილი ოფიცრები გვიყვებიან (მათ გვარებს, გასაგები მიზეზების გამო, არ ვასახელებთ), შსს-ს თანამშრომლები სამხედრო ფორმიანებს ქუჩაში აჩერებენ, პირადობის დამადასტურებელ მოწმობებს სთხოვენ, უმოწმებენ, ითხოვენ ნებართვებს, თუ რატომ ან ვისი განკარგულებით იმყოფებიან ისინი სამხედრო ნაწილის გარეთ, პოლიციელთა მოსაზრებით, საეჭვოდ მიჩნეული რაიგანყოფილებაში მოჰყავთ. იქ ეს პროცედურა გრძელდება და დროში იწელება. ჩვენი რესპონდენტების განმარტებით, შემოწმება ხდება უხეში ფორმებით, რასაც თან სდევს ცინიზმი და სამხედრო პირთა დამცირება. არადა, შემოწმების უფლება, ექსტრემალური სიტუაციის გარდა, პოლიციას არა აქვს.**

# ვინ აპირისპირებს პოლიციას სამხედროებთან?

### სამხედრო მფრინავების ცემის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეც არ აღძრულა!

რამდენიმე დღის წინათ ყოფილი საკოლმეურნეო ბაზრის წინ, იმ ადგილას, სადაც სავაჭრო ცენტრი „ჯითისი" და „პოპული" მდებარეობს, მოულოდნელად მანქანამ შემოუხვია. მის საპირისპიროდ ქუჩაზე მანქანა მოდიოდა. საბედნიეროდ, ორივე მძღოლმა მოასწრო დამუხრუჭება. ისინი გადმოვიდნენ და ერთმანეთისკენ წავიდნენ.

**თინა ბუნტური, გარე მოვაჭრე, თვითმხილველი:** „მანქანებიდან გადმოსულთაგან ერთ-ერთს სამხედრო ფორმა ეცვა. მას მეორე მძღოლმა უხეშად უთხრა, რა არის, ბიჭო, ტარება არ იციო? ვერ მოვისმინე, რა უპასუხა სამხედრო ფორმიანმა, მაგრამ ის კი გავიგე პირველმა როგორ დაუყვირა, ახლა გაგიჩენ პრობლემასო. ამის თქმასთან ერთად პირველი მანქანიდან ორი ფორმიანი გადმოხტა და სამხედროს ყვირილით მივარდა – ფორმის ჩაცმის უფლება ვინ მოგცა, რა „ბოევიკი" ხარ, აბა, ერთი შენი მოწმობა გვაჩვენეო. სამხედრომ მოწმობა ამოიღო და ყვირილი დაიწყო: „მე სამხედრო მფრინავი ვარო", მისი მანქანიდან ახალგაზრდა ბიჭი გადმოხტა, მანაც მოწმობა ამოიღო და ყვიროდა, რას გვერჩით, სამხედრო მფრინავები ვართო. პოლიციელებმა მათ მოწმობები წაართვეს და ერთხმად გაჰყვიროდნენ „მაგ „კნიჟკას" უკანალში შეგტენითო, თან ცდილობდნენ, მფრინავების მანქანაში ჩაჭყლეტას. ბიჭები პოლიციელებზე ძლიერები აღმოჩნდნენ. მათ რაციით დამხმარე ძალა გამოიძახეს. რამდენიმე წუთში ოცამდე პოლიციელი მოვიდა. დაიწყო ჩხუბი. სამხედრო მფრინავებს სასტიკად სცემდნენ. ყველაფერი ხდებოდა დღისით, უამრავი გამვლელის თვალწინ. რამდენიმე გამშველებიც გაილახა. მე ჩხუბს გავერიდე, მაღაზიაში შევვარდი, ვიტრინიდან ვუყურებდი, როგორ გადაათრიეს ჩემი სკამი სამხედრო ფორმიანს ბეჭებზე, ბოლოს, მფრინავები მაინც წაიყვანეს".

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილ, სამხედრო მფრინავები იმ დღესვე გაათავისუფლეს.

### ყველაფერი პროფილაქტიკისთვის კეთდება?!

პოლიციელთა მხრიდან სამხედროების შევიწროების შესახებ მთაწმინდის პოლიციის რაიონული განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ერთ-ერთმა თანამშრომელმა მისი კოლეგების ამგვარი ქმედება კერძო საუბარში გაამართლა. მას მიაჩნია, რომ სამხედრო ყაზარმაში უნდა იყოს და ფორმით ქუჩაში არ უნდა „დამარიაჟობდეს". ზოგიერთი ისე გამომწვევად იქცევა, გეგონება მოგებული ომის გმირიაო. პოლიციელისვე განმარტებით ამ კატეგორიის ხალხს თავის ნებაზე მიშვება კარგ შედეგს არ მოგვცემს. გახსოვთ, როცა მიუშვეს, რა მოჰყვა „მხედრიონის", „გვარდიის", „შინაგანი ჯარის" და სხვათა თარეშს – ყაჩაღობა, მკვლელობები, განუკითხაობა და ქაოსი. მე ვამართლებ ჩვენი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას – პროფილაქტიკური ღონისძიებები, საბოლოოდ დადებით შედეგს გამოიღებს.

### „ომი ჩვენ ხომ არ წაგვიგია..."

თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მომუშავე დაბალჩინოსანი ოფიცრები აცხადებენ, რომ სამხედრო წარუმატებლობის შემდეგ დაიწყო დევნა-შევიწროება. ბევრ ოფიცერს ჯაშუშობაში სამხედრო ნაწილის თვითნებურად მიტოვებასა და საბრძოლო დავალების შეუსრულებლობისათვის უპირებენ გასამართლებას.

მათ გარდა, ალმაცერად გვიყურებს პოლიციაც, მათ არა აქვთ უმიზეზოდ ჩვენი გაჩერებისა და საბუთების შემოწმების უფლება, მაგრამ მაინც აკეთებენ ამას – ამბობენ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები და იქვე ამატებენ, ჩვენმა ხელმძღვანელობამ მგონი მთლიანად დაივიწყა სამხედრო პატრული, მისი ფუნქცია-მოვალეობანი. ქვეყანაში ისეთი სიტუაციაა შექმნილი, თითქოს ომი იერარქიით დაბალ საფეხურზე მდგომთ წაეგოთ და არა მაღალჩინოსნებს. ყველამ ხომ ყველაფერი კარგად იცის, ამგვარ მოსაზრებას ხალხში თვით თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა ავრცელებს. მოგვდგნენ ჩვენ. ერთი თანამდებობის პირი არ არის დაკითხულიც კი. ხომ არ იტყვის ხელისუფლება, ყველაფერი ჩვენი ბრალიაო, – სინანულით გვეუბნებიან ჩვენი რესპონდენტები.

**ზაზა გილიხოძე**

**განცხადება**

**სააქციო საზოგადოება „ელვას" სალიკვიდაციო კომისია ა.წ. 23 ოქტომბერს აწყობს აუქციონს, რომელზეც გასაყიდად გამოტანილი იქნება:** გენერატორები თითო 35 ლ, ციფრული გამზომები თითო 30 ლ. მეხსიერების კონტროლის მოწყობილობები თითო 40 ლ. СПВЭ-თვის მისადგმელი მოწყობილობა 20 ლ. გარდამქმნელები თითო 30 ლ. საგლეჯი მანქანა 20 ლ. სისქის გამზომი 35 ლ. ვიბრომეტრი 10 ლ. ფილტრი 10 ლ. ექსპრესანალიზატორები თითო 40 ლ. ავეჯი „შატრია" 50 ლ. კონდიციონერები თითო 25-50 ლ.

აუქციონი ჩატარდება დღის 12 საათზე, სს „ელვას" ტერიტორიაზე. განცხადებაში მოცემულია საწყისი ფასები დღგ-ს გარეშე. აუქციონზე გასატანი საქონლის ტექნიკური მდგომარეობის, გაყიდვის პირობების გაცნობა მსურველებს შეუძლიათ ჯიქიას ქ.№5-ში, სს „ელვას" ადმინისტრაციაში ან ტელეფონით 53-61-77.

**სალიკვიდაციო კომისია**

**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში"

98-65-87; 899 32-85-76.

კოსტავას 12

## სულიერება

# გვფარავდეს ივერიის ღვთისმშობლის ხატი



**9 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის ათონიდან საქართველოში ჩამობრძანებას დღესასწაულობს.**

... 1989 წლის 9 ოქტომბერს ათონის ივერთა მონასტრიდან თბილისში ჩამოაბრძანეს ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის – „პორტაიტის" (კარიბჭისძ ასლი, რომელიც წმინდა ათონის მთის ბერებმა შეასრულეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევითა და ქართველი ერისადმი სიყვარულისა და მადლიერების გამოსახატავად.

...: სრულიად საქართველო ზეიმობდა ღვინობისთვის იმ მზიან დღეს. ქართველი ერის იმდროინდელ გაჭირვებაში ივერიის მფარველი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ჩამობრძანება ყველამ ზეციურ კურთხევად აღიქვა და ეს დღე საქართველოს ეკლესიის ისტორიაში შევიდა როგორც დიდი დღესასწაული.

ივერიის ღვთისმშობლის ხატი თბილისის სიონის ტაძარშია დაბრძანებული...

საზეიმო წირვა-ლოცვა საქართველოს ყველა მოქმედ ტაძარში შესრულდება მღვდელმსახურთა მიერ.

**გიული ლიპარტია**

## ყოფა

# ისევ თავისუფლად გვკბენენ ძაღლები!

**მას შემდეგ რაც ჩვენს ქვეყანას ტანკებზე და „ბეტეერებზე" ამხედრებული რუსები და ოსები შემოესივნენ, არაა გასაკვირი, რომ ჩვენი ქალაქის „მესვეურებს" ქუჩის მაწანწალა ძაღლების პრობლემა არაფრად მიაჩნდეთ, მაგრამ პრობლემა ერთობ მწვავეა და მას მოგვარება უნდა!**

სავალალო ის არის, რომ საქალაქო სამსახურები, რომლებსაც ამ საკითხის მოგვარება ევალებათ, იმ ქუჩის ძაღლებივით იშვიათად იბერტყავენ ყურებს და... ამასობაში ძაღლებმაც „გაიჯეჯილეს".

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში", ბოლო ხანს რამდენიმე წერილი გამოქვეყნდა აძაღლებული თბილისის პრობლემასთან დაკავშირებით. თქვენ წარმოიდგინეთ, წერილების ავტორებმა „ცხოველთა მოყვარულების" რისხვაც დაიმსახურეს, – როგორ, ღმერთი არა გწამთ, ცოცხალი არსების მოსპობაზე რომ ლაპარაკობთო! არადა, არც ერთ წერილში არ გვიქადაგია ცხოველთა (ამ შემთხვევაში ძაღლებისძ მოსპობის შესახებ. ერთადერთი, რასაც ვამბობდით, ის იყო, რომ ყველა ნორმის დაცვით მოგვევლო მართლაც სერიოზული საყოფაცხოვრებო პრობლემისთვის.

აბა, დაინტერესდით და ყური მიუგდეთ ძაღლების მიერ ატეხილ გნიასს ქალაქის ყველა უბანში, დაკბენილი ბავშვების თუ მოზრდილების კვნესას და მერე გაგვამტყუნეთ...

ამ ბოლო ორი თვის განმავლობაში ოთხგან ვიყავით უბედურების შემთხვევის მოწმე,– ძაღლების დაკბენილ გაცოფებულებს და უდროოდ გარდაცვლილებს ასაფლავებდნენ!

მაშ, რას და ვის ელოდებიან ის სამსახურები, რომელთაც ჰუმანური საშუალებები ნამდვილად აქვთ ამ პრობლემის მოსაგვარებლად? ისინი ხშირად ამბობენ, ჩვენ რა ვქნათ, როცა „ობიექტზე" მივალთ, უპატრონო ძაღლებსაც გამოუჩნდებათო „პატრონი"! ასეც ხდება, მაგრამ ხომ შეიძლება ყოველ „პატრონს" მკაცრად მოვთხოვოთ ძაღლების წესრიგიანად მოვლა? პატრონიანი ძაღლები ღამის უკუნეთს არ შეყმუიან და ისიც დედა ქალაქში!



მიბრძანდით ღამით გლდანში, მუხიანში, ვარკეთილში, ვაზისუბანში, ქალაქის ნებისმიერ უბანში – ყველგან ამაზრზენი სურათი დაგვხვდებათ!

უპატრონო, ცოფიანი ძაღლებით სავსე თბილისს სისტემატურად უნდა გაწმენდა და არა წელიწადში ერთხელ, ისიც ზოგიერთ „პრესტიჟულ" უბანში.

მაწანწალა ძაღლი მშვიდობიან მოსახლეობას არ უნდა აფრთხობდეს!

**ზაალ ფილფანი**

## ხელოვნება

# ალექსანდრე (ბიჭიკო) ჩხეიძე



აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა ქართულმა საზოგადოებრიობამ. 75 წლის ასაკში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი ქალაქის ჭეშმარიტი კოლორიტი, მშობლიური კულტურის დიდი მოამაგე და მკვლევარი, თვალსაჩინო ხელოვნებათმცოდნე, კულტუროლოგი, კავკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე (ბიჭიკოძ ჩხეიძე.

ფართო და მრავალმხრივი იყო მისი მეცნიერული ინტერესების სფერო. სამასზე მეტ სამეცნიერო ნაშრომში ბ-ნი ალექსანდრე განიხილავდა ქართული კულტურის მრავალი დარგის პრობლემებს. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა ქართულ საბალეტო ხელოვნებას, სახვითი ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეების პროპაგანდას, ეროვნული სამუზეუმო საქმის მრავალ წამოწყებას. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ნაშრომები: „იტალიური ოპერა თბილისში", წიგნი-ალბომი „ნიკო ფიროსმანაშვილი" და სხვა.

იგი შესანიშნავი მხატვარ-დეკორატორიც, ასზე მეტი გამოფენის ორგანიზატორი იყო, როგორც საქართველოს მუზეუმებში, ისე საზღვარგარეთ. მათ შორის უ. ჩხეიძის, ნ. ვაჩნაძის, ა. ხორავას, მ. ჭიაურელის, ნ. ფიროსმანაშვილის, ი. გოგებაშვილის და სხვა მუზეუმებში.

ბ-ნი ალექსანდრე ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც მიჰყავდა კურსი ქართული და საზღვარგარეთული ბალეტის ისტორიაში, დეკორატიული ხელოვნების ტექნიკურ ექსპერტიზაში, ხელოვნების ნიმუშთა შეფასების საფუძვლებში. ათწლეულების მანძილზე თავის ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემდა თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის აღსაზრდელებს.

ალექსანდრე ჩხეიძის განსაკუთრებული კვლევის სფერო იყო ქართული საოპერო და საბალეტო ხელოვნება.

ბ-ნი ალექსანდრეს სიცოცხლე შეწყდა მაშინ, როდესაც იგი მისთვის ჩვეული რუდუნებით მუშაობდა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მეცნიერ კოლეგებთან ერთად ქართული თეატრის ენციკლოპედიის შექმნაზე.

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შესანიშნავი ქართველი მეცნიერისა და მოღვაწის გარდაცვალების გამო და თანგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი

## ძვირფასო მკითხველო!

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge

ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ. ფაქსი: 98-65-87.

## ანეკდოტები

ზომა-წონის საერთაშორისო პალატაში შექმნეს ახალი ეტალონები – სამართლიანობის, სიმართლისა და ბედნიერების. სამწუხაროდ, ჯერჯერობით მათი ნახვა შეუძლებელია, რადგან ჯერ არ გამოუგონიათ სათანადო მიკროსკოპი.

* * *

– გამომეღვიძა და რას ვხედავ, საწოლთან ერთი ყუთი არაყი მიდგას: ვიფიქრე, ისევ მთვრალი ვარ-მეთქი და თვალები დავხუჭე, გავახილე და არაყი აღარ იყო.

– მაშასადამე, გაგიარა.

– არა, არა. მაგრამ ერთი კითხვა მაინც მაწვალებს, თვალები რატომ დავხუჭე?!



* * *

ცუდი ცოლის ქმარი არაყს ყიდულობს. კარგი ცოლის ქმარი კონიაკის ქარხანას.

* * *

ერთი უძველესი ანეკდოტი:

– ვინ ხარ?

– დეპუტატი!

– არ გრცხვენია? ჯანმრთელი, ღონიერი, კაცი ჩანხარ. არ აჯობებს, რამე სამუშაო იშოვო?

* * *

– მხოლოდ ორი დღეა, რაც ჩემი ცოლი გახდი და უკვე მაგინებ?

– შენამდე უკვე ხუთი ქმარი მყავდა, ამიტომაც ყველაზე კარგად ვიცი, როდის დავიწყო გინება!

* * *

კაცი, ოცნება რომ არა აქვს, უფრთებო ჩიტს ჰგავს, სკლინტვა შეუძლია, ფრენა – კი არა!

* * *

მთვრალი მეხანძრე 40-მეტრიან სახანძრო კიბიდან გადმოვარდა, მაგრამ არაფერი დამართნია. იმან გადაარჩინა, რომ კიბის მხოლოდ მეორე საფეხურზე ასვლა მოასწრო.

* * *

– ქალბატონო, რა ჭკვიანი, ლამაზი და სპორტული აღნაგობის ქმარი გყავთ!

– ეჰ, თქვენ ჯერ ჩემი საყვარელი არ გინახავთ.

* * *

ის იმდენად მორიდებული იყო, რომ ბავშვობიდან ერიდებოდა, ენახა ბიჭი იყო თუ გოგო.

* * *

საყვარელი, როგორც წესი, ამტკიცებს, რომ ქმარს ძალზე ბევრი თავისუფალი დრო აქვს.

* * *

– თქვენი ცოლი გიყვართ?

– რასაკვირველია, ის სხვებზე ნაკლები რითია?!

* * *

– შვილო, მთელი მეზობლობა ლაპარაკობს, რომ შენ უკვე იწექი შენს საქმროსთან.

– ერთი შენც, მაგათ როგორ დაეჯერებათ, ვილაცასთან რომ დაწვე, მაშინვე საქმროდ მონათლავენ.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში"

98-65-87; 899 32-85-76.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში". 95-11-92
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.